საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 1 ოქტომბერი, 2015 წელი.

№184 (7829)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბურთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

უგულავამ „გაიუგულავა“, „ცრუ-სთავი-2“-მა გაიგიგიაურა

3

მდინარის კალაპოტში მშენებლობა არ შეიძლება!

უსაფრთხოა თუ არა ვერეს ახალი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალსართულიანი კორპუსის აშენება

6

წმიდა ილია მართლის პოლიტიკური მრწამსი

7

გელა დუმბაძე: „უცხოელი“ ქართველები ერთად მოიყრიან თავს...

4

ლირს პარიზი მესად?

9

◎ დღის ამოჩაზურიდან

ჯულიეტას ბიჭი „ნარუშილოვკათი“ მუშაობს...

– წუხელ „არჩევანს“ უყურე „რუსთავი-2“-ზე?

– ვუყურე და ნეტავი არ მეყურებინა; ისე მომეშალა ნერვები, მთელი ღამე შამფურივით ვტრიალებდი.

– ეგ გაქცეული პოლიციელი, ვიღაც ბაბუნაშვილია, ეტყობა, სპეციალურად იყო პოლიციაში ჩანერგილი პოლიციის სახელის გამტეხი მასალების შესაგროვებლად.

– როგორც ჩანს, შურისმაძიებელმა ნაციონალებმა ბედუკაძის სამაგიერო მოძებნეს უკვე ციხის გარეთ, რადგან ციხეებში ცოცხებს ახლა დასაგველად თუ იყენებენ.

– „ნარუშილოვკაა“ თუ რაღაც ოხრობა, რაც ყოველგვარი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის უფლებას აძლევს „მენარუშილოვკეს“, ნაციონალების პარპაშის დროს ყველა მაგათ ნათესავსა და ახლობელს ედო ჯიბეში.

– მაშინ ვინ ამოიღებდა ხმას.

– ამოიღებდა, და ცოცხიც მზად იყო უკან გასარჭობად.

– ახლა რა, ნაციონალები ისევ მაგ „ნარუშილოვკებით“ არ სარგებლობენ?!

– მე თუ მკითხავ, სულ ოცნების ბედოვლათობის ბრალია. უუნაროები და უნიათოებიც იმიტომ შეარქვეს, რაკი დაინახეს, რომ არა მარტო ძველი ცოდვებისთვის, არამედ ახალი აღვირახსნილი თავდასხმებისა და ცილისწამებისთვისაც პასუხს არავინ არა სთხოვს.

– პასუხს კი არა, ამ გაუთავებელ ჭორხაბარაობასა და ათასგვარ ინსინუაციებს პლურალიზმად უთვლიან თავიანთი ევროპელი და ამერიკელი მეგობრები, რომლებიც მბრძანებლურად თითსაც კი უქნევენ „ოცნებას, რომელიც მგონი, თვითონ მოექცა „ცრუსთავი-2“-ის აშკარად მტრული, ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდის გავლენაში და საჯარო წინააღმდეგობას ვერ უწევს (თუ არ უწევს!) აშკარად იერიშზე გადმოსულ პოლიტიკურად გათავხედებული ქვეყნისა და ხალხის წინაშე დამნაშავე ნაციონალებს.

– არა, ეს ჯულიეტას ბიჭი მაინც მეტისმეტია. როგორც ჩანს, გვარამიას თუ ვარამიას მუქარას „ოცნების“ მიმართ, ჯოჯოხეთს მოგიწყობთო, ეგ უდგას სათავეში.

– დღეს ყველა ხედავს, რომ „ცრუსთავი-2“-ს აშკარად დაუფარავი ოცდაოთხსაათიანი ფრონტი აქვს გახსნილი ხელისუფლების წინააღმდეგ, ბოკერიები, ნადირაშვილები, გაბაშვილები, ბაქრაძეები, კანდელაკები და თაქთაქიშვილები აღარ მალავენ და პირდაპირ აცხადებენ, არჩევნებს ვეღარ დავუცდით, ეს უნიათონი და უუნარონი ბიძინა ივანიშვილის მეთავეობით ხელისუფლებას უნდა ჩამოვაცილოთო.

– არა, თუ ატყობ, რომ ნაციონალებს უკვე ბანს აძლევენ, „თავისუფალი დემოკრატებიც“. პეტრიაშვილი და ჩიქოვანი ალასანიას მხარდამხარ უსირცხვილოდ და რატომღაც იმედიანად გაჰყვირიან, ჩვენ მოვალთ, ჩვენ მოვალთო.

– ეგენი ისე მოვლენ, ამ უტიფარი ნაციონალებისა არ იყოს, როგორც ბებიაჩემი ელპიტე!

– მე მაინც ისევ მაგ ჯულიეტას ბიჭს უნდა მივუბრუნდე, ამ სამშაბათის „არჩევანს“. მიზანი ისევ და ისევ ხელისუფლების ლანძღვა-გინება და გაბითურება იყო. საარტილერიო გათვლაც ისე ჰქონდა მოფიქრებული. რასაკვირველია, ბოკერია, რასაკვირველია, ნადირაშვილი, რასაკვირველია, კახიძე (ოთიკუნა!) და ქვეყნის გენერალური პროკურორი-რედაქტორი კილაძე (ჩვენი ყოვლისმცოდნე ბუნჩულა ელისო!). ფონად, რა თქმა უნდა, კიდევ ვიღაც-ვიღაცები ისხდნენ. თანამებრძოლთაგან ამჯერად „თავისუფალი დემოკრატი“ პეტრიაშვილი ჩართო. ეტყობა, ესენი მალე ერთი ფრონტით დაიწყებენ ბრძოლას.

– არა, ლანძღვაც არის და ლანძღვაც, ცილისწამებაც არის და ცილისწამებაც, მაგრამ ჯულიეტას ბიჭის ავანტიურისტული პროპაგანდის უნარს, ალბათ, თვით იოზეფ ჰებელსიც შენატრებდა.

– პირდაპირ მიკვირს და გამკვირვებია, რომ ვისაც არ ეზარება, ნაციონალებზე აღარაფერს ვამბობ, მეტადრე ეს ეგრეთ წოდებული არასამთავრობოები, მოურიდებლად „დადიან“ იდეოლოგიურ წითელ შუქზე, ყოველგვარ წესს და რიგს არღვევენ.

– მერედა, რატომ გასცა ამ „ოცნებამ“ ამდენი „ნარუშილოვკა“?! ნამდვილად საკვირველია, რატომ ადგას თვითმკვლელობის გზას?!...

– ეს, ძმაო, არც დემოკრატიაა და არც პლურალიზმი. ეს გაგანია ანტისახელმწიფოებრივი იდეოლოგიური ბრძოლაა ამ ხელისუფლების დასამხობად, რომელსაც პირში ეუბნებიან, უუნარო და უნიათო ხარო, ეს ხელისუფლება კი ჯიუტად თავისი გრძელი თუ მოკლე ჭკუით ჯიუტად აგრძელებს ევროპის გასაკვირალი „დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების“ გზას. ეს მაშინ, როცა ბოლო ხანს აზიიდან ლტოლვილთაგან ეს საეჭვოდ შეჯანჯღარებული ევროპა არც მალავს, ისე ცდილობს პოლიტიკურ ლაფში ამოსვრილი ნაციონალების „გათეთრებას“.

– გაგონილი გექნება, პწკენა-პწკენაში დედოფალი რომ დაორსულდა. „ცრუსთავი-2“ და, კერძოდ, ჯულიეტას ბიჭი კი უკვე კარგა ხანია, რაც პწკენა-პწკენიდან ჩქმეტა-ჩქმეტაზე და პირდაპირ ხორცის გრეხაზე გადავიდნენ.

– ესე იგი, რა გამოდის, ხელისუფლება ისეა წაყრუებული ამ პწკენა-ჩქმეტა-ხორცის გრეხის მიმართ, რომ, იმ დედოფლისა არ იყოს, როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს ამ ჩვენს „ოცნებას“ დაორსულებენ და, ვაითუ ჩვენდა საუბედუროდ, ახალი ურჩხული რამ აშობინონ.

– არ გაგიკვირდეს, თუ ამ ტრაგიკული მშობიარობის დროს, „ოცნებას“ ბებიაქალობას თუ მეანობას თვით ჩვენი მოგზაური პრეზიდენტი მარგველაშვილი გაუწევს, რომლის „ნარუშილოვკასთან“ ნამდვილად ვერ მოვა ვერც გვარამია-ვარამიას და ვერც ჯულიეტას ბიჭის „ნარუშილოვკა“.

მოქალაქეთა დიალოგი ჩაიწერა

გურამ წიკლაურმა

საქართველოს საკითხი აშშ-ის რადარებიდან გაქრა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი იზიარებს მოსაზრებას, რომ საქართველოს საკითხი გაქრა აშშ-ის რადარებიდან.

აღნიშნულ საკითხზე საუბარი იყო საგარეო ურთიერთობათა საბჭოში საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლისას, ხოლო შეხვედრის შემდეგ გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა. ერთ-ერთი კითხვა მდგომარეობდა იმაში, იზიარებს თუ არა პრეზიდენტი მოსაზებას, რომ საქართველოს საკითხი აშშ-ის რადარებიდან გაქრა.

„ეს აზრი მე გამოვთქვი, ასე რომ არ შეიძლება არ ვიზიარებდე, რაც ნახევარი საათის წინ ვთქვი“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა და დასძინა, რომ დღევანდელ გარემოში უბრალოდ არსებობა საკმარისი არ არის და საჭიროა რაც შეიძლება დიდი რესურსის ჩადება საქართველოს საკითხების წინ წამოსაწევად.

„ახლა თქვენ ჩემს გვერდით ხართ გაეროში და ესწრებით, რამდენად ინტენსიური პროცესია გენერალური დებატები და ყველა ქვეყანა რამდენად მაქსიმალურად იყენებს ამ შესაძლებლობას საკუთარი ქვეყნის წარმოსაჩენად და თავისი საკითხების წინ წასაწევად. ეს არის უაღრესად კონკურენტული გარემო, რომელშიც საქართველო, ისევე როგორც ნებისმიერი სუვერენული დამოუკიდებელი ქვეყანა, თამაშობს. ამ გარემოში, ბუნებრივია, რომ უბრალოდ არსებობა საკმარისი არ არის, არამედ უმნიშვნელოვანესია, რაც შეიძლება დიდი ძალისხმევის და რესურსების ჩადება იმაში, რომ შენი საკითხები დღის წესრიგში წინწაწეული იქნას. მიმაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს ძალისხმევა და არ შენელდეს. არასდროს, არც ერთ მომენტში ჩვენ ვერ მივაღწევთ სასურველ სტატუს-კვოს, არამედ მუდმივად ვიქნებით კარგი გაგებით კონკურენციაში სხვა ქვეყნებთან. ამიტომ მუდმივად უნდა გვქონდეს წინ წამოწევის მცდელობა. მათ შორის ამას ემსახურება ჩემი აქ ყოფნაც“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

პრემიერი საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების: Moody's, Standard and Poor's lf Fitch-ის წარმომადგენლებს შეხვდა.

ქართულმა მხარემ სარეიტინგო კომპანიების წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებისა და ეკონომიკური განვითარების პოზიტიური ტენდენციების შესახებ. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოში არსებულ ლიბერალურ ბიზნეს და საინვესტიციო გარემოზე. საუბარი შეეხო საქართველოსა და რეგიონში არსებული პოლიტიკურ ვითარებას.

სარეიტინგო კომპანიების წარმომადგენლებმა შეხვედრაზე მიიღეს ინფორმაცია ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისა და მოცულობის გაზრდის შესახებ, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია Moody's, Standard and Poor's lf Fitch-ის მიერ რეიტინგების მინიჭების საკითხში.

თუკი ოდესმე ყოფილხართ საქართველოში, გეცოდინებათ, თუ რა საგანძურია ის

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ნიუ-იორკში, საინვესტიციო ფორუმზე: Georgia-Making Business Easy შეკრებილ მსოფლიოს წამყვან ინვესტორებს შეხვდა.

პრემიერმა დამსწრეებს მადლობა გადაუხადა, რომ მიუხედავად გადატვირთული გრაფიკისა, შეუერთდნენ ამ ღონისძიებას, რათა გაეცნონ ინფორმაციას საქართველოში ინვესტირების უსაზღვრო შესაძლებლობების შესახებ.

„ერთადერთი, რასაც ვინატრებდი დღეს, არის თქვენი მასპინძლობა ჩემს უმშვენიერეს ქვეყანაში, საქართველოში. თუკი თქვენ ოდესმე ყოფილხართ საქართველოში, გეცოდინებათ, თუ რა საგანძურია ის. მათ კი, ვისაც ჯერ კიდევ აქვს სტუმრობა ჩემს ქვეყანაში, ბევრი სასიამოვნო სიურპრიზი ელოდება.

მინდა, მოგაწოდოთ მოკლე ინფორმაცია, რას გთავაზობთ საქართველო, და შემდეგ მოგიწვიოთ ჩემთან და ჩემი ეკონომიკური გუნდის წევრებთან პირისპირ სასაუბროდ, რომლებიც მე დღევანდელ ღონისძიებაზე დასაწრებად მოვიწვიე“, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა დამსწრეებს ქართული დელეგაციის წევრებიც გააცნო.

„დღეს საქართველო სულ სხვა ქვეყანაა, ვიდრე ოცი წლის წინ. ყველა სფეროში, დაწყებული ჯანდაცვით, განათლებით, პოლიტიკური სტაბილურობითა და ეროვნული უშიშროებით და დამთავრებული ჩვენი დღევანდელი ღონისძიების თემით, ანუ ეკონომიკური განვითარებით – ყველა სფეროში გვაქვს არნახული პროგრესი.

ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, რომლის მიზანიცაა დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დასავლურ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობა. ჩვენ განუხრელად მივყვებით დასავლური ინტეგრაციის გზას, ვაღრმავებთ ურთიერთობებს ევროკავშირთან, ნატო-სა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან“, – განაცხადა პრემიერმა.

საინვესტიციო ფორუმს მსოფლიოს წამყვანი ბიზნესლიდერები დაესწრნენ, მათ შორის – კომპანია 32 Advisors-ის ვიცე-პრეზიდენტი მარტინ მოისბურგერი, African Trade and Business Center-ის მმართველი პარტნიორი თი ტომპსონი, Avir Group-ის ხელმძღვანელი რიჩარდ სმიტი, BlueCap Economic Advisors-ის მმართველი დირექტორი გარი მარქსი, Brunswick Group-ის დირექტორი ლიზ დაჰანი, Contract Pharmacal-ის აღმასრულებელი დირექტორი მეტ ვულფი, Deloitte-ის დირექტორი ჩარლზ რუბი, Dreamit Ventures-ის თანადამფუძნებელი პატრიკ ფიცჯერალდი, NBC Universal-ის ვიცე-პრეზიდენტი ქეით ჩეთემი, i.ythubwc Energy Development-ის თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი ვეინ როჯერსი და სხვები.

რუსეთის მხრიდან, ძალიან მაღალ დონეზე არის კონკრეტული შემოთავაზებები, თუმცა, ხელისუფლება არ ინტერესდება

ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გადაცემა „მაესტროს ფაქტორში“ სტუმრობისას განაცხადა.

მისი თქმით, იგი ცოტა ხნის წინ იმყოფებოდა რუსეთში, სადაც მსოფლიო დონის კონფერენციაში იღებადა მონაწილეობას.

„რუსეთში მქონდა ძალიან საინტერესო ვიზიტი, მონაწილეობას ვიღებდი მსოფლიო დონის კონფერენციაში, მაგრამ კონფერენცია არ არის მთავარი. წინა ვიზიტის დროს მე მქონდა შეხვედრები რუსეთის საკანონდებლო ორგანოს ქვედა პალატის ხელმძღვანელთან, ახლა მე ვიყავი ქალბატონი მატვიენკოს მოწვევით, რომელიც არის რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ფედერაციის საბჭოს ზედა პალატის თავმჯდომარე და მქონდა შეხვედრა რუსეთის საკანონდებლო ორგანოს ზედა პალატის წარმომადგენლებთან. ჩვენ ვისაუბრეთ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე იმ პრობლემებზე, რომელიც ჩვენს ურთიერთობაში არის, გნებავთ საზღვრის საკითხი, გნებავთ აფხაზეთის და სამაჩაბლოს საკითხი, გნებავთ თუნდაც ეკონომიკური ურთიერთობების, ვიზების მოწესრიგების საკითხი და ა.შ. მე ვხედავ მზაობას და ამ შეხვედრებით ვამზადებ იმის საფუძველს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გვქონდეს შესაძლებლობა, რომ უკვე კონკრეტული ნაბიჯები გადავდგა“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება არ არის მზად, რომ ეს რესურსი გამოიყენოს.

„დღევანდელი ხელისუფლება არ ინტერესდება ამ შეხვედრებით. რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგეჩვენოთ მე წინა ვიზიტის შემდეგ ჯერ კიდევ მოსკოვიდან და შემდეგ თბილისში გავაკეთე განცხადება, რომ მზად ვარ შევხვდე პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, დავურეკეთ კიდეც მათ მისაღებში და ვუთხარით, რომ არის კონკრეტული შემოთავაზებები რუსული მხრიდან ძალიან მაღალ დონეზე, თუმცა, ამით არ დაინტერესდნენ“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში გაემგზავრნენ

ვაზიანში მეოთხე მექანიზებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში „მტკიცე მხარდაჭერის“ საერთაშორისო მისიაში ჩართვისთვის ქართული კონტინგენტის გაცილების ცერემონიალი გაიმართა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის 22-ე ბატალიონის პირადი შემადგენლობა, 23-ე ბატალიონის ალფა ასეული და ეროვნული გვარდიის ოცეული ავღანეთში ამერიკის შეერთებული შტატების სარდლობის დაქვემდებარებაში ნატო-ს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო მისიას 7 თვის განმავლობაში შეასრულებს.

ქართველ სამხედროებს სიტყვით მიმართა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ. მან სამშვიდობოებს მტკიცე მხარდაჭერის მისიის წარმატებით შესრულება და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება უსურვა.

ქართველ სამხედროებს სიტყვით მიმართეს ასევე თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ებრალიძემ და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში იან კელიმ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის 22-ე ბატალიონის პირადი შემადგენლობა და ეროვნული გვარდიის ოცეული ავღანეთში ბაგრამის საავიაციო ბაზაზე მეოთხე მექანიზებული ბრიგადის 43-ე ბატალიონს ჩაანაცვლებს.

გენერალური შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ ვახტანგ ჩაჩიბაიამ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს უწყებრივი მედალი „გენერალი კვინიტაძე“ გადასცა.

ბოლოს და ბოლოს, სად სწავლობდა კალაძის ცოლისძმა?

„სამოქალაქო მონიტორინგის ცენტრი“ თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის გიორგი არეშიძის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაჯაროებას ითხოვს.

როგორც „სამოქალაქო მონიტორინგის ცენტრის“ ხელმძღვანელმა გიორგი ხაბურზანიამ განაცხადა, გიორგი არეშიძეს თბილისის მერიის ვებგვერდზე მითითებული აქვს განათლების გრაფაში წმ. ნიკოლოზის სახელობის საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტი, რაც, მისი თქმით, საქართველოში არ ფიქსირდება. გიორგი ხაბურზანიას თქმით, განათლების სამინისტროს ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრიდან გამოითხოვეს ინფორმაცია, თუმცა წმინდა ნიკოლოზის სახელობის საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტის არსებობა არც მათ დაადასტურეს.

„ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრიდან ინფორმაცია გამოვითხოვეთ, სადაც ეწერა, რომ სალიცენზიო რეესტრსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში წმ. ნიკოლოზის სახელობის საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტის სახელწოდებით საგანმანათლებლო დაწესებულება არ იძებნება. ჩვენ მერიისგან მოვითხოვთ გასაჯაროვდეს გიორგი არეშიძის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, რადგანაც ჩვენთვის კალაძის ცოლის ძმობა მაღალკვალიფიციურობის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ იქნება“, - განაცხადა გიორგი ხაბურზანიამ.

რამ აღაშფოთა აფხაზეთის ე. წ. საგარეო უწყება?

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყება, ადამიანის უფლებების სფეროში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშს ეხმაურება და ოფიციალურ თბილისს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს. ამის შესახებ „აფსნიპრესი“ ინტყობინება.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობს მიზანმიმართულ პოლიტიკას მსოფლიო საზოგადოების ცნობიერებაში „ოკუპირებული ტერიტორიების“ ტერმინის ჩანერგვის კუთხით, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება რესპუბლიკაში არსებულ პოლიტიკურ რეალიებს. მათი პოლიტიკური მიზანია როგორც რესპუბლიკა აფხაზეთის, ისე რუსულ-აფხაზური სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ნეგატიური იმიჯის შექმნა“, – ნათქვამია განცხადებაში.

ე.წ. საგარეო უწყება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროპაგანდაში ადანაშაულებს და უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციულ საზღვარზე გადასულ და დაკავებულ პირებს აწამებენ და არაჰუმანურად ეპყრობიან.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშებში გამოყენებული ტერმინოლოგია სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს ხელისუფლების მორიგი მცდელობა, დაამახინჯოს რეალური სიტუაცია“, – ნათქვამია განცხადებაში.

„გვსურს ვურჩიოთ საქართველოს ხელმძღვანელობას, მეტი დრო დაუთმოს შიდა პრობლემებს. საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით სერიოზული პრობლემები არსებობს, რომელიც უკავშირდება ქართულ ციხეებში პატიმართა წამებას, სასტიკ, არადამიანურ და ღირსებისთვის შემლახველ დასჯას. ასევე ფაქტები მთელი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი და მათი უარყოფა შეუძლებელია“, – ნათქვამია განცხადებაში.

◎ შეშლილი მსოფლიო

რუსეთი, სირია თუ ავღანეთი...

ამ სამ ლოკალურ ომში ჩართვა ამერიკისთვის დიდი ფუფუნებაა

პენტაგონი და აშშ-ის მოკავშირე ქვეყნები შეშფოთებას გამოთქვამენ იმ ფაქტის გამო, რომ თეთრი სახლი ავღანეთში ამერიკული სამხედრო კონტინგენტის შემცირებას გეგმავს. ამის შესახებ გამოცემა „Wall Street Journal"-ი ამერიკელ მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით იტყობინება.

გამოცემის თანახმად, აშშ-ის არმიის გენერალმა ჯონ კემბერლმა პენტაგონსა და ნატოს პოტენციური რისკების შესახებ ხუთი რეკომენდაცია გაუგზავნა. ამერიკელი მაღალჩინოსნები შიშობენ, რომ ავღანეთში ამერიკული კონტინგენტის შემცირება „თალიბანსა" და სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებს გააძლიერებს.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** მიიჩნევს, რომ ადრე თუ გვიან ამერიკული სამხედრო კონტინგენტი უნდა შემცირებულიყო, რადგან არ შეიძლება ერთმა ქვეყანამ მეორე ქვეყანა უსაფრთხოების მუდმივ კმაყოფაზე აიყვანოს და ათი, ოცი, ასი წლით უცხოეთის ჯარი ჩააყენოს სხვისი საზღვრების დასაცავად.

სოსო ცინცაძე განმარტავს, რომ თუნდაც იმავე პატარა ისრაელში, რომელსაც ასმილიონიანი მტრული გარემოცვა ჰყავს, ერთ ამერიკელ ჯარისკაცსაც არ უბრძოლია, თუმცა, ამერიკა მათ ეხმარებოდა ფულით, იარაღით. ასევე, ამერიკა ყველაფრით ეხმარება ავღანეთს, მაგრამ თვითონ ავღანეთის ხელისუფლება ჩაფლულია ნარკობიზნესში, ნაჯიბულადან დაწყებული, კარზაით და მისი მემკვიდრით დამთავრებული, კარზაის ძმა გერათის პროვინციის გუბერნატორობისას პირველი ნარკობარონი იყო და ჩაეფლო კორუფციაში.

— თუ ავღანელ ხალხს უნდა თალიბები, მაშინ უნდა წამოვიდნენ ამერიკელები და ავღანელებს ჰყავდეთ თალიბები. როგორც ჩანს, იქაურ ხალხს უნდათ თალიბები. ისლამური სამყარო ასეა, არ შეიძლება, ისლამისტებს ხვდებოდე ყვავილებით ბერლინში და ამბობდე, ჩვენ მივიღებთ ასი ათას, 800 ათას ისლამისტს, ვინ შეამოწმა, ვინ არიან ისინი?! უკვე 1200 ევროპელი ახალგაზრდა, აქედან 45% გოგონა, ისლამურ სახელმწიფოში საბრძოლველად წავიდა. ამიტომ „აისაფის" მისია დროებითი იყო. დღეს მიმდინარეობს ცივილიზაციათა ომი და ამ ომის აღიარება დასავლეთს არ უნდა, რადგან პოლიტკორექტულად არ არის გამართლებული, რომ ჩვენ ისლამს ვეომებით. თვით პუტინმაც კი მოსკოვში ააშენა ევროპაში ყველაზე დიდი მეჩეთი და თავად მივიდა მის გახსნაზე. მე არ მახსოვს, პუტინი მისულიყო ქრისტიანული ტაძრის აშენებისას. ეს პოლიტიკაა, შედეგი ნულია, რადგან ცივილიზებულმა დასავლეთმა ვერ მოძებნა „მოდუს ვივენდი" ისლამთან ურთიერთობისას. ის, რომ არსებობს რადიკალური და ნორმალური ისლამი, მითი აღმოჩნდა, რადგან ნორმალური ისლამიდან გამოდიან რადიკალები. პანკისის ხეობაში მუსლიმანები საუკუნეებია ცხოვრობენ, მაგრამ როდის იყო, რომ გადამთიელებთან, 5 ათას კილომეტრზე მიდიოდნენ ისლამისთვის საბრძოლველად?! — ამბობს სოსო ცინცაძე და პარალელს ავლებს ამერიკელებთან. კერძოდ, ამერიკის პოლიცია ისეა დაკომპლექსებული, რომ შავკანიან მკვლელს ხელსაც ვერ ახლებს, რადგან ნახევარი ამერიკა გამოვა მის წინააღმდეგ.

ასე რომ, ამერიკა წაგებული იყო იმ დღიდანვე, როდესაც ავღანეთის მორიგ ავანტიურაში ჩაერთო. ქართველები ავღანეთში იღუპებიან, არადა, რიგია იქ წასვლაზე, რადგან 700 დოლარი აქვთ ყოველთვიური ხელფასი.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ადასტურებს, რომ პენტაგონი რეალისტურად აფასებს რისკებს. კერძოდ, **თუ ამერიკელები ავღანეთიდან გამოვლენ, ადგილობრივი პროდასავლური ხელისუფლება მაშინვე დაემხობა და თალიბები ისევ დაიბრუნებენ პოზიციებს. მით უმეტეს, ამ ეტაპზე თალიბები საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენენ და ისინი ავღანეთის 70%-ს აკონტროლებენ.**

ვახტანგ მაიასიას თქმით, **ავღანეთში მოხდება ის, რაც მოხდა სამხრეთ ვიეტნამში 1973 წელს, როცა პარიზის ხელშეკრულების შედეგად, ამერიკელებმა დატოვეს სამხრეთ ვიეტნამი, ცოტა ხანში ვიეტნამი დაეცა. ასევე, მოხდა ავღანეთშიც, 1989 წელს საბჭოთა ჯარებმა დატოვეს ავღანეთი, შედეგად, მესამე წელსვე დაამხეს ნაჯიბულას მთავრობა და თალიბებმა ნაჯიბულაც ჩამოახრჩვეს. ამის შემდეგ ავღანეთში დაიწყო არეულობა, რასაც მოჰყვა თალიბების გაძლიერება.** ასე რომ, ექსპერტის აზრით, თალიბები არსად გამქრალან, პირიქით, მათ პოზიციები გაიმყარეს. ამას ემატება ისიც, რომ თალიბებს დიდი თანხები აქვთ, ავღანეთის ტერიტორია თალიბების თხევადი ჰეროინით არის გადაჭედილი, რაც ნახევარ მილიარდ დოლარს უდრის.

— ბაგრამის საავიაციო ბაზაზე აქტიურ თავდასხმას რომ ახორციელებენ, ესეც ადასტურებს, რომ ამერიკელების ავღანეთიდან გაყვანა იმ ხელისუფლების გაწირვას ნიშნავს, რომელიც დღეს ავღანეთს მართავს. რატომ არ გათვალეს ეს რისკები ამერიკელებმა? ვფიქრობ, რომ, თეორიულად, ამერიკელებმა თავიანთი მისია შეასრულეს. „აისაფის" მისია მას შემდეგ დასრულდა, რაც „ალ-ქაიდას" ლიდერი განადგურდა, თავად „ალ-ქაიდას" დაჯგუფებამ დატოვა ავღანეთი და მისი წევრები გადავიდნენ მათთვის მნიშვნელოვან არეალებში. „ალ-ქაიდამ" დაკარგა რეალური ოპერატიული დამრტყმელი ძალა, ეს ჩანს კიდეც, რომ ეს ტერორისტული ორგანიზაცია პასიურ რეჟიმში გადავიდა. საბედნიეროდ, ბოლო დროს მომხდარი არცერთი ტერაქტის უკან „ალ-ქაიდა" არ ყოფილა. ასე რომ, ამერიკის ეს ორი ძირითადი ამოცანა შესრულებულია. უფრო მეტიც, კატარსა და დუბაიში შედგა რამდენიმე მოლაპარაკება ამერიკელებსა და თალიბებს შორის. ზოგიერთ ადგილებში კი ამერიკული კონტინგენტი, ამერიკელი მეთაურები და თალიბები თანამშრომლობდნენ კიდეც გარკვეულ დონეზე. ამერიკელებმა გლობალურ-სტრატეგიული მისია შეასრულეს, ამიტომ მათი დარჩენა ავღანეთში ამ ეტაპზე ბევრ კითხვას გამოიწვევს, — მიიჩნევს ვახტანგ მაისაია და განმარტავს, რომ **ამერიკას აღარ შეუძლია, ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის მიმართულებით აწარმოოს ოპერაციები. მით უფრო, რომ ავღანეთის ოპერაცია ძვირად ღირებულია და ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი ამას ვერ გაწვდება. ასე რომ, რუსეთი, სირია თუ ავღანეთი — ამ სამ ლოკალურ ომში ჩართვა ამერიკისთვის დიდი ფუფუნებაა.**

მოამზადა

მანანა ნოზაძემ

◎ მოქალაქის პოზიცია

უგულავამ „გაიუგულავა", „ცრუსთავი-2"-მა გაიგიგიაურა

ციკლიდან „წერილები მაგნოლიების ქალაქიდან"

ტელეარხ „რუსთავი-2-ის" უნიჭო შოუების დიდოსტატობა არ ახალია, მაგრამ უგულავას პროცესთან დაკავშირებულმა სიუჟეტებმა ყველა ჯებირი დაამსხვრია. აიწყვიტა მარა, რა აიწყვიტა! აიწყვიტა და ნამუსის ძარღვიც გაიწყვიტა, მაგრამ არა, რაც არა აქვს, რას გაიწყვეტს . როცა გიორგი პაპუაშვილმა უგულავას სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, ბოკერია, ბაქრაძე, გაბაშვილი უმალ აგნიასდნენ, პატივი ვცეთ სასამართლო გადაწყვეტილებასო. კი, ბატონო, ვინ ოხერი იტყვის, არ ვცეთო. ცოტა ხნის შემდეგ, როცა საქალაქო სასამართლო განაჩენი მივიღეთ, ის გაუგონარი თავდასხმები, რაც ამას მოჰყვა, აღვირახსნილობის, უზნეობისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აბუჩად აგდების მწვერვალია. უგულავას მატროსოვიდან 24-საათიანმა „გაუგულავებამ" „რუსთავი-2-ს" „კლაპანი" გაუხსნა. რაკი უგულავამ თბილისში გაიუგულავა, „რუსთავი-2-მაც" დრო ისელთა და გაიგიგიაურა.

ისე, კაცმა რომ თქვას, ღირსი კი ხარ, „ქართულო ოცნებავ," ნაცები ყოველდღე ღაწვებში რომ გილაწუნებენ და გიბრახუნებენ, თავის დროზე რომ არ ალაგმეთ სააკაშვილის მოსამართლეები და პროკურორები და ახლაც გატეხილია სამართალდამცავი ორგანოები, დამნაშავე ნაცისტებით. ნუთუ არ იცოდით რა ხდებოდა სასამართლოში? კბილებით რატომ იცავდით კოტე კუბლაშვილს? ნუთუ არ შეიძლებოდა 9 თვის განმავლობაში საქალაქო სასამართლოს გამოეტანა განაჩენი?! არც მეტი, არც ნაკლები, ეს არის დივერსია „ქართული ოცნებისა" და ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ. სად გაგონილა ნაცისტი საკონსტიტუციო სასამართლოს დავმჯდომარედ? ეს იგივეა ნიურნბერგის სასამართლოს ჰებელსი რომ თავმჯდომარეობდეს, ანდა სხვა ნაცისტი, ვინც გნებავთ. ვინ არის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი?!

ეს ის გიორგი პაპუაშვილია, რომელსაც გიჟმა და ნარკომანმა სააკაშვილმა უფეშქაშა ბათუმელი როლანდ ბლადაძისთვის წაგლეჯილი ბინა, ღამით ნიღბიანი ზონდერები შეუსია, მთელი ოჯახი, სამი შვილით, გარეთ გამოყარა, თანაც ახალაიას მუქარა მოაყოლა, თუ ხმას ამოიღებ, გაგაქრობთო. ახლა იმ ბინაში პაპუაშვილის ოჯახი ნებივრობს. მის წარსულს თავი რომ დავანებოთ, მარტო ეს ფაქტიც კმარა, ვიკითხოთ არის თუ არა ქართველი ხალხისა და საქართველოს კონსტიტუციის შეურაცხყოფა მისი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობა??? მე ეს კითხვა ამაოდ დავსვი, რადგან კარგად ვიცი, რომ არავინ არ გვიპასუხებს. რატომ უკვირს „რუსთავი-2-სა" და მავან სააკოვისტებს (ზოგი მათგანი კოალიციაშიც ჰყავთ ჩანერგილი — დ. საგანელიძე, მ. დუმბაძე, რომლებმაც ქედაში, შუახევსა და ხულოში გაგვიყალბეს არჩევნები ნაცების სასარგებლოდ), პაპუაშვილს კვერცხები რომ დაუშინეს ბათუმში. მე ის უფრო მიკვირს, „ლიმონკას" რომ არ ესვრიან. სააკოვის ლობისტების მიერ შემოგდებულ კოჰაბიტაციას ვინც

მხარს უჭერს, საქართველოს მტერია. სააკოვის უკანალის მლოკავებს ახლა კოჰაბიტაციაც აღარ აკმაყოფილებთ, შეტევაზე გადმოვიდნენ ჩვენს წინააღმდეგ და განადგურებით გვემუქრებიან. ტელეეთერის 80 პროცენტი მათ ხელშია, ვითომ საზოგადოებრივი პირველი არხი, აჭარის ტელევიზია, მაესტრო, იმედი მათი ბორდებიანად. ქართველი ხალხი დაიღალა მაგათ შეშლილ და წითურ-ბითურ სახეებზე ყოველდღე ყურებითა და აღვირახსნილი დემაგოგიით. რაც შეეხება „რუსთავი-2-ს", მისი ანტიხალხური და ანტისახელმწიფოებრივი, ძირისგამომთხვრელი იდეოლოგია, რაც პლურალიზმად უნდათ რომ გაასაღონ, სასამართლოს განსჯის საგანი უნდა გახდეს და აღიგავოს პირისაგან მიწისა.

მე მივესალმები ბობოყვათის რეზიდენციის საპატრიარქოსთვის გადაცემას.

ნაცმოძრაობამ, დღიდან მოსვლისა, ძალისმიერი მეთოდებით გაანადგურა „მოქალაქეთა კავშირი" და „აღორძინება." ჩვენს დასავლელ ვაიპარტნიორებს ხმა არ ამოუღიათ ამ ფაქტზე. არც უცხოელ დიპლომატებს მოუკლავთ თავი. ნაცმოძრაობა სასამართლომ უნდა აკრძალოს, როგორც ანტიხალხური გაერთიანება! მე მივესალმები ქალბატონ ირმა ინაშვილის ინიციატივას, რომელმაც ახლახან განაცხადა, გადეპუტატების შემთხვევაში მოვითხოვთ ნაცმოძრაობის აკრძალვასო. აუცილებელი და გადაუდებელი საკითხია დეპუტატის გამოწვევის პროცედურების გამარტივება, რაც არსებული წესებით, ეს შეუძლებელია. მაშ, რა საჭიროა კანონი, რომლის შესრულების შანსი არ არსებობს? ამ კითხვას ბატონმა დავით უსუფაშვილმა უნდა უპასუხოს.

მე „ქართული ოცნების" გულანთებული მხარდამჭერი ვარ დღიდან ბატონი ბიძინას გამოჩენისა, მთელ საქართველოში პირველი ვიყავი, ვინც ამას ქართულ პოლიტიკაში მიწისძვრა უწოდა. მიუხედავად ამისა, აჭარის ახალი ხელისუფლება, რომელიც ნაცებითაა გატენილი, პირველი მე დამიპირისპირდა. სააკაშვილვარშალომიძის ბათუმელი კადრები ახლაც წინაურდებიან. ყველა მათგანს უახლოეს მომავალში ჩამოვხსნი ნიღაბს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებს და ჩინოვნიკებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს არჩევნებში „ქართული ოცნების" წინააღმდეგ. ამ „დამსახურებისათვის" ისინი ხაბაძე-დუმბაძე-ვარშალომიძის ტრიუმვირატმა გაამინისტრა.

ასე ცხოვრება აღარ შეიძლება.

შოთა ზოიძე,

პოეტი. ქ. ბათუმი

◎ დღის ინტერვიუ

გელა დუმბაძე:

„უცხოელი“ ქართველები ერთად მოიყრიან თავს...

კვირეულის ფარგლებში თბილისი უცხოეთიდან ჩამოსულ თანამემამულეებს უმასპინძლებს

ნომრის სტუმარია სახელმწიფო მინისტრი დიასპორიის საკითხებში გელა დუმბაძე, იგი ვრცლად გვესაუბრება ღონისძიებაზე, რომელიც რამდენიმე დღეში დიასპორის სამინისტროს ეგიდითა და მხარდაჭერით გაიმართება.

— როგორც იცით, 13-დან 17 ოქტომბრამდე უკვე მეორად იმართება რეგიონალური პროფილის გლობალური დიასპორული კვირეული, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი. კვირეულს ვატარებთ „საერთაშორისო დიასპორული ჩართულობის ალიანსთან“ ერთად. მოგეხსენებათ, რომ ეს ორგანიზაცია არის ჰილარი კლინტონის დაარსებული. ჯერ გავწერიანდით ალიანსში, ხოლო შემდეგ სპეციალური მემორანდუმი გავაფორმეთ, რომლის თანახმადაც, ჩვენ გავხდით ერთადერთი რეგიონალური პარტნიორი აღმოსავლეთ ევროპაში.

„დიასპორული ალიანსი“ რამდენიმე წელიწადია, ოქტომბრის დასაწყისში ტრადიციულად აღნიშნავს ხოლმე დიასპორულ კვირეულს, რათა ხელისუფლებამ, სამოქალაქო სექტორმა და ზოგადად საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიზიაროს, რამხელაა დღევანდელ ცვალებად სამყაროში დიასპორის როლი. ჩვენც ვუერთდებით ამ პათოსს. 13 ოქტომბერს ჩავატარებთ ეკონომიკური პროფილის ღონისძიებას „ექსპო-ჯორჯიანში“, რომელიც მიეძღვნება დიასპორული ინვესტიციებს. სტუმრებს ველოდებით სხვადასხვა ქვეყნიდან: აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, ჩეხეთიდან, გერმანიიდან, გვეყოლება წარმომადგენლები სავაჭრო პალატიდან, ჩამოვიყვანთ დიასპორის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც გარკვეული ტიპის ინვესტიციებს ახორციელებენ, აქ კი დავახვედრებთ დიასპორის იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც უკვე განახორციელეს ინვესტიციები საქართველოში. ისინი ერთმანეთში გაცვლიან თავიანთ მოსაზრებებს, გაუზიარებენ ბიზნესიდეებს, ისაუბრებენ პრობლემების შესახებ და ა. შ. ეს არის ფართო ფორმატი დიალოგისთვის, რადგანაც აქ თავს მოიყრიან ფერმერული კავშირების, ბიზნესწრეების, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლები.

— დაახლოებით რამდენი დელეგატი ეყოლება ღონისძიებას?

— შედარებით კომპაქტური იქნება, ვიდრე წინა წლის კვირეული. დაახლოებით 150 ადამიანი გვეყოლება, ვინაიდან უფრო პროფესიული ჭრილია და მოიცავს მხოლოდ ეკონომიკის სფეროს. მეორე დღეს ვგეგმავთ ჩავატაროთ დიასპორის საინფორმაციო დღე, კუს ტბის მიმდებარედ ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე. აქ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი უცხოელი პარტნიორები, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები... მესამე დღეს დიასპორული ვარსკვლავების კონცერტი ჩატარდება სახელმწიფო ფილარმონიაში, სადაც წარმოჩინდებიან მომღერლები, შემსრულებლები, პაინისტები, რეჟისორები, რომლებიც თავიანთი ნამუშევრების მოკლე რეპროდუქციულ კოლაჟს შემოგვთავაზებენ... 17 ოქტომბერს გასვლითი ღონისძიება მოეწყობა ჩამოსული სტუმრებისთვის. ისინი სიღნაღს ეწვევიან, დააგემოვნებენ ღვინოს, ამ დღისთვის გვინდა, საინგილოდან მოვიწვიოთ თეატრალური დასი პერფორმანსის გასამართავად... დაახლოებით, ასე გამოიყურება წლევანდელი დიასპორული კვირეულის დღის წესრიგი.

— ვინ იღებს თავის თავზე ამ ღონისძიების დაფინანსებას?

— მაქსიმალურად ვცდილობთ, არ შევაწუხოთ სახელმწიფო, ჩვენ ძირითადად უცხოეთიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოვიძიეთ ფინანსები, თუმცა, რაღაც ნაწილს, რა თქმა უნდა, ბიუჯეტიდანაც მივიღებთ, სახელმწიფოც გაიღებს გარკვეულ თახებს.

— შარშანაც დიდი ენთუზიაზმით გავაშუქეთ დიასპორული კვირეული. რა შედეგი გამოიღო შარშანდელმა ღონისძიებამ? განხორციელდა თუ არა რაიმე ახალი ეკონომიკური პროექტი ან ინვესტიცია?

— ღონისძიებების შედეგი ის არის, რომ ასეთი ფორმატების მიმართ ინტერესი იზრდება, ჩამოდიან ჩვენი უცხოელი პარტნიორები და ბევრ ადამიანს ეძლევა საშუალება საკუთარი ბიზნესის მომავალი საქართველოში დაინახოს. ზოგიერთი დაბრუნდა, დაიწყო ბიზნესი და სახელმწიფო მას მხარში ამოუდგა. მაგალითისთვის შემიძლია მოვიყვანო ჰოლანდიიდან დაბრუნებული ბიზნესმენი გიორგი სვანიძე, რომელმაც ზეთისხილის პლანტაციები გააშენა კახეთში. შესაბამისად, საქართველო გამოჩნდა ზეთისხილის რუკაზე. წელს, ნოემბერში, ბატონი გიორგი გეგმავს ზეთისხილის ქარხნის გახსნას და ზეითუნის ზეთის წარმოების დაწყებას... გვახარებს, რომ მან ბიზნესი ჩვენი მხარდაჭერით განახორციელა.

— საინტერესოა, ტექნიკურად როგორ ხდება დელეგატების შერჩევა. ვინ არჩევს და რა ნიშნით ამ ადამიანებს?

— მონისტორინგს საერთაშორისო ორგანიზაციები ახდენენ. შეგნებულად არ ვერევით ამ პროცესში, რადგან ნეპოტიზმის მომენტები თავიდან ავიცილოთ. ეს ორგანიზაციები თვითონ გვთავაზობენ წარმატებულ, აქტიურ ადამიანებს. ვთანამშრომლობთ სხვა სამინისტროებთანაც. ჩვენთან ხშირად მოდიან დიასპორის წარმომადგენლები, რომელთაც თავად მოჰყავთ უცხოური ინვესტორები, განვიხილავთ პროექტებს, იდეებს... ვაკვალიანებთ მათ, ვამისამართებთ შესაბამის სამინისტროსა თუ სამსახურში და ა. შ. უნდა გითხრათ, რომ დიასპორის მინისტრთან მოხვედრა მარტივია. ჩვენთან კონტაქტები და დიალოგი ყველა დაინტერესებულ ადამიანს ძალიან ადვილად შეუძლია.

— ბატონო გელა, ცოტა ზოგადი თემაა, მაგრამ მაინც გკითხავთ. თქვენი გამოცდილებითა და დაკვირვებით, ყველაზე კომფორტულად რომელ უცხო ქვეყანაში გრძნობს თავს ჩვენი დიასპორა?

— ვერ გეტყვით ასე ერთმნიშვნელოვნად. რადგან ყველა ქვეყანას სხვადასხვა ტიპის მახასიათებელი აქვს, ძნელია დაადგინო, როგორ მოხვდა იქ ჩვენი თანამემამულე, მაგალითად, იტალიაში, ბარში, ჩემთან შეხვედრაზე 460 ქართველი მოვიდა და გაკვირვებული დავრჩი, როგორ, რა მიზეზით მოხვდნენ ამ ქალაქში-მეთქი?! ყველა დიასპორას თავისი პრეისტორია აქვს... თუმცა, ჩემი აზრით, ქართველებს ადაპტაცია მით უფრო უადვილდებათ, რაც მეტად ნაკლებგანვითარებულია ესა თუ ის ქვეყანა. ბუნებრივია, მაღალგანვითარებულ ქვეყანაში თავის დამკვიდრება და ფეხის მოკიდება ძნელია. ისე, ზოგადად, ჩემი აზრით, ქართველს ისეთი მიზიდულობა აქვს სამშობლოს მიმართ, არა მგონია, თავს სადმე კომფორტულად გრძნობდეს, საქართველოს გარეშე. ყველას მუდმივი ნოსტალგია აწუხებს, და ყველას უნდა საბოლოოდ საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება.

— არ მინდა, გამოგვრჩეს ჩვენი დიასპორა რუსეთში, სადაც ყველაზე მეტი ქართველია თავმოყრილი. ამ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი გვაქვს. ეს არ ამძიმებს ვითარებას იქ მყოფი ჩვენი თანამემამულეებისთვის? კვირეულის ფარგლებში რუსეთიდან თუ ელოდებით დელეგატებს?

— რა თქმა უნდა, ველოდებით. ჩვენს სამინისტროს ყველაზე მეტი სტუმარი რუსეთის ფედერაციიდან ჰყავს ხოლმე. ესენი არიან ახალგაზრდები, კულტუროლოგთა ჯგუფებში, რომლებიც ამბობენ, რომ მათ არ აკმაყოფილებთ ადგილზე დიასპორული საქმიანობა და სურთ, რომ შეიქმნას დიასპორული სახლები, დიასპორული ორგანიზაციები, კულტურული დასები და ა. შ. ამ საკითხებთან დაკავშირებით გვაქვს დიალოგი, ვუწევთ კონსულტაციებს... მართალია, დიპლომატიური ურთიერთობა საქართველო-რუსეთს შორის გაწყვეტილია, მაგრამ ჩვენს დიასპორაზე უარს ხომ არ ვიტყვით?! ჩვენ ყოველთვის გვაინტერესებს მათი ბედი, გვენატრება და გვიყვარს ეს ადამიანები. მინდა, ჩვენმა დიასპორამ ყველა ქვეყანაში იგრძნოს, თუ როგორ ვაფასებთ მათ, მათ პოტენციალს, იგრძნოს, რომ ვფიქრობთ მათზე და გვიხარია დროებით თუ სამუდამოდ მათი სამშობლოში დაბრუნება.

ოქტომბერში დაგეგმილი კვირეულიც სწორედ ამის დადასტურებაა. ქვეყანას არა აქვს იმის პოტენციალი, რომ ჩვენ ამ ხალხს მოვუხმოთ და ერთბაშად სამშობლოში დაბრუნება ვურჩიოთ, თუმცა, ამისთვის ყველა ნიადაგი უნდა მოვამზადოთ!

ესაუბრა
თეა მოსია

◎ ამერ-იმერი

რაჭველები „ფუძეობა 2015“-ისთვის ემზადებიან

რაჭაში, 4 ოქტომბერს, სახალხო დღესასწაული „ფუძეობა 2015“ გაიმართება. საზეიმო ღონისძიებები ქ. ამბროლაურში 11:00 საათზე დაიწყება და 21:00 საათზე გრანდიოზული გალა კონცერტით დასრულდება.

„ფუძეობა“ პირველად 1988 წელს აღინიშნა და 27 წლის შემდეგ, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, ტრადიცია კვლავ აღდგა. ღონისძიების ძირითადი გზავნილი რაჭიდან წასული რაჭველების საკუთარ ფუძეზე დაბრუნებაა.

სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებული ყველა აქტივობა: სპორტული თამაშები, თეატრალური დადგმები, ქუჩის მხატვრობა, წიგნებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა–გაყიდვა ღია ცის ქვეშ ქ. ამბროლაურის ცენტრალურ ქუჩაზე გაიმართება, სადაც გადაადგილება მხოლოდ ფეხითმოსიარულეთათვის იქნება დაშვებული. სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით რაჭაში გიგანტური ლობიანი გამოცხვება.

ღონისძიებები გრანდიოზული გალა კონცერტით დასრულდება, რომელშიც ადგილობრივ ფოლკლორულ ჯგუფებთან ერთად მონაწილეობას ნიკოლოზ რაჭველი, ლიზა ბაგრატიონი და „ქართული ხმები“ მიიღებენ.

ქართველ სტუმრებთან ერთად „ფუძეობა 2015“-ს დანიისა და სლოვაკეთის დელეგაციები დაესწრებიან.

რაჭა-ლეჩხუმში რთველი იწყება

კახეთის შემდეგ, რთველი რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში რამდენიმე დღეში დაიწყება. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, მინისტრის მოადგილემ ლევან დავითაშვილმა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა პაპუნა მარგველიძემ რაჭაში რთველი 2015-ის საორგანიზაციო საკითხები ამბროლაურში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს.

მოსამზადებელი სამუშაოები ფაქტობრივად უკვე დასრულებულია. ხელისუფლებას აქვს სრული მზაობა და დეტალურად გაწერილი გეგმა, რათა წლევანდელმა რთველმა რაჭაშიც ორგანიზებულად ჩაიაროს და მოსავალის დაბინავების პრობლემა არც ერთ მევენახეს არ შეექმნას.

მხარის გუბერნატორის პაპუნა მარგველიძის განცხადებით, წელს რაჭაში 1000 ტონამდე ყურძნის მოსავალს ელოდებიან. წინა წელთან შედარებით, მიმდინარე წელს რეგიონში ხარისხიანი მოსავალია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელ პირებთან ერთად რთვლის საორგანიზაციო საკითხები დეტალურად არის განხილული და არც ერთ მევენახეს მოსავალი დაუბინავებელი არ დარჩება.

რაჭის რეგიონში ვიზიტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში კომპანია „როიალ ხვანჭკარას“ ქარხანა დაათვალიერა. კომპანიამ 2014 წელს შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში აღებული სესხით ღვინის ქარხანა გადააიარაღა და 5 ჰა-ზე მეტი ახალი ვენახი გააშენა. როგორც ქარხნის დირექტორმა მირიან ჭიღვარიამ აღნიშნა, ქარხანა სრულ მზადყოფნაშია, აქტიურად ჩაერთოს რთველის პროცესში და 200 ტონაზე მეტი ყურძენი მიიღოს.

რთველი აქტიურ ფაზაში შევიდა

30 სექტემბრის 12.00 საათის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავდა 91 ათას ტონამდე ყურძენი. ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მოსავლის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა რეგიონში 56 მლნ ლარს მიაღწია.

29 სექტემბერს დღეღამურად გადამუშავდა 6 034 ტ, რაც მიუთითებს, რომ რთველი კახეთში კვლავ აქტიურ ფაზაშია. რთველი კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში შეფერხების გარეშე მიმდინარეობს. ღვინის ქარხნებში ყურძენი 12 ათასამდე მევენახემ ჩააბარა.

ამ დროისთვის გადამუშავებულია რქაწითელი 43,5 ათას ტონამდე, საფერავი — 35,5 ათას ათას ტონამდე, ასევე 2,2 ათასი ტონა კახური მწვანე და 10 ათას ტონამდე სხვა ჯიშის ყურძენი. ყველაზე დიდი რაოდენობით ყურძენი გადამუშავებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტში — 31,1 ათას ტონამდე.

◎ ხე-ხე-ხე!

იპრანჭება კიდეც!

ცნობამ იმის შესახებ, რომ ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი, თითქოს, უარს ამბობს უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნაზე, იმათი ირონიული ღიმილი და სხვადასხვაგვარი მოგონებები გამოიწვია, ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს საქართველოს თანამედროვე ისტორიას და ამ ქვეყნის ყოფილი ხელმძღვანელის ხასიათს. შეგახსენებთ, რომ უკრაინის პრეზიდენტმა პიოტრ პოროშენკომ, როდესაც უპასუხებდა პეტიციაზე წინადადებით — დაენიშნათ ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის პრემიერ-მინისტრად — განმარტა, რომ ეს გადაწყვეტილება მასზე არაა დამოკიდებული. „უკრაინის კონსტიტუციის თანახმად, პრემიერ-მინისტრს ნიშნავს უმაღლესი რადა პრეზიდენტის წარდგინებით“, — ნათქვამია უკრაინის სახელმწიფოს მეთაურის პასუხში ხსენებულ პეტიციასთან დაკავშირებით. ამას გარდა, ზემოაღნიშნული პროცედურის დაწყების აუცილებელი პირობაა ამ თანამდებობაზე დანიშვნის კანდიდატის პირადი თანხმობა. „თუმცა, სააკაშვილს ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოუთქვამს“, — დაუმატა პრეზიდენტმა. ერთი სიტყვით, თავად არ უნდა!

იმასთან დაკავშირებით, უნდა თუ არა რომელიმე დასანიშნს დაიკავოს გარკვეული თანამდებობა, საქართველოში ასეთ ისტორიას ყვებიან. შეესაბამება თუ არა იგი სიმართლეს — არავის შეუძლია თქვას დამაჯერებლად. თავად ისტორია კი ასეთია. 1960-იან წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა გენერალი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე, და მასთან „მეფის სასახლეში“ მუშაობდა ერთობ ეშმაკი, და მახვილგონიერი ადამიანი შოთა ილარიონის ძე ჭანუყვაძე, რომელსაც სოფლის მეურნეობის საკითხებში ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტი ეკავა. მაშინდელ რესპუბლიკაში ყველა მნიშვნელოვან საკადრო საკითხს თითქოს მჟავანაძე წყვეტდა, მაგრამ ბოროტი ენები საუბრობდნენ, რომ ეს ყველაფერი შოთა ილარიონის ძის კარნახით კეთდებოდა.

როგორ ხდებოდა ეს? მიდიოდა, ვთქვათ, ჭანუყვაძე მჟავანაძესთან და ისინი იწყებდნენ მნიშვნელოვან სახელმწიფო პოსტზე რომელიმე კანდიდატურის განხილვას. განხილვით ისინი კი იხილავდნენ, მაგრამ ჭანუყვაძეს უკვე ჰყავდა თავისი კანდიდატურა ამ თანამდებობაზე. ახლა საჭირო იყო გაგეკეთებინა ისე, რომ გადაწყვეტილება ამ კანდიდატურაზე განეცხადებინა თავად მჟავანაძეს. და იწყებოდა საუბარი:

— იცით, ვასილ პავლეს ძევ, არის ამ თანამდებობაზე მეტად ღირსეული კანდიდატურა (ჭანუყვაძე ასახელებს გვარს), მაგრამ... არ დაიჯერებთ, უყვარს ამ კაცს რესტორნებში სიარული, უყვარს სუფრა...

— არა, ასეთი კაცი ჩვენ არ გვჭირდება, — მკაცრად უარყოფს მჟავანაძე შემოთავაზებულ კანდიდატურას.

— არის კიდევ ერთი ნიჭიერი კაცი (ასახელებს გვარს). თუმცა, მასაც აქვს პატარა მინუსი — ძალიანაა გატაცებული ქალებით...

— კი, კი, მეც ვიცნობ მას. ის კარგი მუშაკია, მაგრამ... არა, ასეთი ხალხი ჩვენ არ გვჭირდება, მოდით, თავი შევიკავოთ, — წყენით უარყოფს მჟავანაძე ამ კანდიდატურასაც.

დაბოლოს, ჭანუყვაძეს საუბარი მიჰყავს იმ მუშაკამდე, რომელიც თავად მან გაითვალისწინა ამ თანამდებობისთვის.

— დიახ, ის ყველა პარამეტრით შეგვეფერება, მაგრამ იცით, ვასილ პავლეს ძევ, მას უკვე ელაპარაკნენ ამ თემაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ახალ თანამდებობაზე გადასვლის კატეგორიული წინააღმდეგია. მომეშვითო, ამბობს...

— რას ნიშნავს წინააღმდეგია?! — არ სიამოვნებს მჟავანაძეს. — და ვერ შეძელით მისი დაყოლიება? დაუყოვნებლივ მოიწვიეთ ის ჩემთან. მე თვითონ მოველაპარაკები მას.

და რით მთავრდებოდა ეს საუბარი — ძნელი მისახვედრი არაა.

აი, ეს ისტორია გამახსენდა მას შემდეგ, რაც უკრაინის სახელმწიფოს მეთაურის საიტზე გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ოდესის გუბერნატორს მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც ყველა ის ნაკლოვანება გააჩნია, რომლებიც შოთა ილარიონის ძემ ვასილ პავლეს ძესთან საუბარში ჩამოთვალა, თითქოსდა არ სურს დაიკავოს უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტი. ხე-ხე...

ვადიმ ანასტასიადი

◎ ალიან-ჩალიანი

ეს მართლაც დროული საჩუქარია

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა მსოფლიო ბაზარზე ლიდერ საპროთეზო ცენტრ „ოტტობოკთან“ და საქართველოში არსებულ სოციალური რეაბილიტაციის ცენტრთან ერთად სამმხრივი მემორანდუმი გააფორმა.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა ირაკლი შინხიაშვილმა, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის“ სახელით თამილა ერისთავმა და კლაუს ფროლოსმა.

მემორანდუმის ფარგლებში იგეგმება პირველ ეტაპზე 30 ამპუტანტი ვეტერანისთვის გამოკვლევების ჩატარება და მათთვის პროთეზების დამზადება.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ „ოტტობოკის“ დელეგაცია სოციალური რეაბილატაციის ცენტრს ეწვია. სპეციალისტებმა ვეტერანებს გამოკვლევები ჩაუტარეს და პროთეზებისთვის ზომები აიღეს.

დელეგაცია გერმანიიდან საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მოწვევით ესტუმრა. სამუშაო შეხვედრები რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდება.

კომპანია „ოტტობოკს“ არსებობის 90-წლიანი ისტორია აქვს და ამჟამად 50-ზე მეტი ფილიალი ფუნქციონირებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის მკურნალობას სახელმწიფო ეტაპობრივად თავის თავზე აიღებს

საქართველოში შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან საბრძოლველად „გლობალური ფონდის“ დაფინანსებას ეტაპობრივად სახელმწიფო ჩაანაცვლებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გუშინ სასტუმრო „რედისონში“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ და „გლობალური ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა მარკ დაიბლმა მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონია საერთაშორისო ფორუმის პარალელურად მოხდა, რომლის მიზანია „გლობალური ფონდის“ მიერ შემოღებული დაფინანსებიდან ეროვნულ დონეზე აღნიშნული დაავადების მკურნალობის პროგრამის დაფინანსების ახალ მოდელზე გადასვლა. საერთაშორისო კონფერენცია სამდღიანია და მასში 30 ქვეყნის 300-ზე მეტი დელეგატი მონაწილეობს.

მემორანდუმის გაფორმების მნიშვნელობასთან დაკავშირებით პრესკონფერენციაც გაიმართა, რომელშიც დავით სერგეენკოსა და მარკ დაიბლის გარდა, „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის“ წარმომადგენელი კოკა ლაბარტყავაც მონაწილეობდა.

მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, მემორანდუმი წარმოადგენს საბანკო ხელშეკრულებას, რომლითაც მომავალი სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო თანდათან თავის თავზე აიღებს აივ ინფექცია შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის დაავადებების მკურნალობის დაფინანსებას და ამაში იგი „გლობალური ფონდის“ დაფინანსებას ჩაანაცვლებს.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს უფროსმა ეკატერინე ადამიამ განაცხადა, „გლობალური ფონდი“ აივ ინფექცია შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის დაავადებების მკურნალობის პროგრამებს საქართველოში, სავარაუდოდ, 2006 წლიდან აფინანსებს და ამ მიზნით დაახლოებით 100 მლნ ლარია დახარჯული.

გასულ წელს მარტო ტუბერკულოზის პროგრამით 25 ათასმა დაავადებულმა ისარგებლა.

რუის-აგარის გზა ოქტომბერში გაიხსნება

რუის-აგარის გზის 19-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა ერთ თვეში დასრულდება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული მონაკვეთი ოქტომბრიდან გაიხსნება და ავტოტრანსპორტის მოძრაობა ახალ გზაზე ეტაპობრივად გადაერთვება.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე, ამ დროისთვის 2 მონაკვეთის, რუის-აგარისა და აგარა-ზემო ოსიაურის მშენებლობა მიმდინარეობს. მსოფლიო ბანკის მისიის წარმომადგენლების განცხადებით, ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე სამუშაოები ხარისხიანად და მნიშვნელოვანი პროგრესით ხორციელდება.

მსოფლიო ბანკის მისია საქართველოში უკვე რამდენიმე დღეა იმყოფება და საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს ახორციელებს.

ინტერპრესი

◎ სულიერება

მთავარმოწამეთა ბიძინა ჩოლოყაშვილისა და ორთა ძმათა მოწამეთა შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავთა ხსენება

1 ოქტომბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს დიდმოწამეებს ბიძინას, შალვას და ელიზბარს.

... 1659 წელს კახეთის აჯანყების მეთაურმა ბიძინა ჩოლოყაშვილმა აღმოსავლეთ საქართველოს განთავისუფლების მიზნით (სპარსელებისგან) შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებთან, დარაზმა ქართლ-კახეთის პატრიოტული ძალები და სასტიკად გაუსწორდა სპარსელებს, მაგრამ შაჰიმ ულტიმატუმის გამო, რომლითაც იგი ან აჯანყების მეთაურთა მისთვის მიცემას მოითხოვდა, ანდა აღმოსავლეთ საქართველოს სრული ამოჟლეტით ემუქრებოდა, თავის თანამებრძოლებთან — შალვა და ელიზბართან ერთად ნებაყოფლობით ეახლა შაჰს.

ყველა მათგანი სასტიკად აწამეს და შემდეგ თავები მოჰკვეთეს. მათი წმინდა ნაწილები ფარულად წამოიღეს სპარსეთიდან და იკორთის მთავარანგელოზის ეკლესიაში დაკრძალეს ერთ სამარხში, რადგან მათი სხეულების ნაწილთა გარჩევა შეუძლებელი იყო (მათი მოკვეთილი თავები კი დასჯის უმალვე კეთოლიკე ბერებმა მოიპარეს, როგორც რელიკვია).

აი, ასეთ ტოპარს ვამბობთ ჩვენ მორწმუნენი 1 ოქტომბერს: „ღვაწლით შემოსილნი უფლისანო, ნეტარ არს მიშა იგი, რომელი განიპოხა სისხლითა თქვენითა და წმიდა სამარხო იგი, რომელთა შეიწყნარეს გვამნი თქვენი, რამეთუ სტადიონსა მას შინა მტერი მოაუძლურეთ და ქრისტე ღმერთი კანდიერად ქადაგეთ, მას, ვითარცა სახიერსა, ევედრენით შეწყალებად სულთა ჩვენთა“.

წმინდანთა მოსახელეთ ბიძინას, შალვას, ელიზბარს დღევანდელ დღეს ვულოცავთ!

გიული ლიპარტია

განცხადება

2015 წლის 20 ნოემბერს, 15 საათზე, ქ. ფოთის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა №12) გაიმართება ახალი ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებელობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ქ. ფოთში ახალი ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ქ. ფოთის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა №12;**
- **კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ (ეი პი ემ ტერმინალს)-ის ოფისში — ქ. ფოთი, აღმაშენებელის ქუჩა №52;**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში - ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17°.**

ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- **ჯუღული ახვლედიანი. ტელ: 2 60 15 27;**

E-mail: j.akhvlediani@gamma.ge

- **დევი გვალია. ტელ: +493 27 75 20)**

E-mail: devi.gvalia@apmterminals.com

საზოგადოებასთან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ (ეი პი ემ ტერმინალს)-ის ადმინისტრაცია

მდინარის კალაპოტში მშენებლობა არ შეიძლება!

ვაკე-საბურთალოსთან დამაკავშირებელ ე.წ. ახალ გზაზე, რომელიც 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანდა, ტრანსპორტის ფუნქციონირება აღდგა. თუმცა, გზის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები პარალელურად ისევ მიმდინარეობს.

სპეციალისტების თქმით, სტიქიის ზონაში საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაუშვებელია, რადგან მომავალში მსგავსი სტიქიური მოვლენის განმეორება გამორიცხული არ არის. მიუხედავად რეკომენდაციებისა, ტერიტორიაზე მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა მაინც გრძელდება. სამშენებლო კომპანია „რედკომ“ ახალი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე სამუშაოები ორი თვის წინათ განაახლა.

როგორც bpn-ს კომპანიაში განუცხადეს, მშენებლობის ნებართვა 13 ივნისის სტიქიამდე აქვთ მიღებული. ამასთან, გარემოს დაცვის სამინისტროსთან არსებული სპეციალური კომისიის მიერ შედგენილ წითელ ნახაზებში აღნიშნული ტერიტორია არ მოხვდა. შესაბამისად, მშენებლობაც განაახლეს. კომპანია „რედკო“ 16-სართულიან კორპუსს აშენებს.

„სტიქიის დროს ჩვენი ტერიტორია არ დატბორილა და არ დაზარალებულა. უბრალოდ, ზარალი მოგვადგა იმ კუთხით, რომ სამშენებლო მასალები მშენებლობის წინ ელაგა, რომელიც წყალმა წაიღო. წყალმა წაიღო ერთი მანქანაც. მერიამ ნებართვა გასცა მშენებლობის გაგრძელებაზე. ვინაიდან წითელ ხაზებში არ მოვხვდით, ვაგრძელებთ მუშაობას. კორპუსს ვადებში ჩავაბარებთ. 11 სართული უკვე აშენებულია. სტიქიის განმეორების შანსი ძალიან მცირეა, რადგან როგორც იცით, მსოფლიო ბანკმა დააფინანსა დამბის მშენებლობა. აქედან გამომდინარე, იმ ტერიტორიაზე, სადაც სტიქია მოხდა, მეწყერსაშიშ ზონებში წყალი მაქსიმალურად ცოტა წამოვა. ჩვენ განგვიმარტეს, რომ ეს ტერიტორია მაქსიმალურად დაცული იქნება, ხოლო წითელ ხაზებში, სადაც ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი მოხვდა, მშენებლობა დაუშვებელია,“ — განმარტავენ „რედკოში“.

bpn დაინტერესდა, რამდენად მიზანშეწონილი და უსაფრთხოა სტიქიური ეპიცენტრის ზონაში კორპუსის მშენებლობა და შესაბამის უწყებებს, ასევე, სპეციალისტებსაც დაუკავშირდა.

უსაფრთხოა თუ არა ვერეს ახალი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალსართულიანი კორპუსის აშენება

ამ საკითხთან დაკავშირებით, მერიაში გვითხრეს, რომ სამშენებლო კომპანიას მშენებლობის ნებართვა აქვს და შესაბამისად, მშენებლობასაც ახორციელებს.

„ალბათ, გარემოს დაცვის სამინისტროს რეკომენდაციის საფუძველზე მშენებლობის განახლება იმ ტერიტორიაზე დაშვებულია“, — დასძინეს მერიაში.

bpn კომენტარისთვის გარემოს დაცვის სამინისტროს დაუკავშირდა. როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აღნიშნეს, მშენებლობის ნებართვებს მერია გასცემს და არა — სამინისტრო.

გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრის, მწვანეთა მოძრაობა „დედამიწის მეგობრების“ თანათავმჯდომარის **ნინო ჩხობაძის** თქმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო თუ სხვა სახის მშენებლობა დაუშვებელია, რადგან მსგავსი სტიქიის განმეორების საშიშროება კვლავაც არსებობს:

„ვერეს ხეობა გეოლოგიურად საშიში ზონაა. იქ დასახლება დაუშვებელია, სადაც მდინარის კალაპოტი და ჭალაა, მშენებლობა არ შეიძლება. ჩემთვის გაუგებარია იმ ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვა შესაბამისმა უწყებამ რატომ გასცა. მსგავსი სტიქია შეიძლება ნოემბერშიც განმეორდეს და მსგავსი ტრაგედია გამორიცხული არ არის. გაზაფხულზე, როცა თოვლი დნობას დაიწყებს, მდინარე ვერე კვლავ ადიდდება. ამიტომ, იმ ტერიტორიაზე რაიმე სახის მშენებლობა ყოვლად დაუშვებელია. ამაზე სპეციალისტების რეკომენდაციებიც არსებობს. როგორც ჩანს, ამ რეკომენდაციებს არავინ ითვალისწინებს და შესაძლო შედეგებზეც არ ფიქრობენ,“ — ამბობს ნინო ჩხობაძე.

უჩა ზვიადაძე, გეოლოგი: „მრავალსართულიანი და დიდი დატვირთვის მქონე ნაგებობების აშენება იმ ტერიტორიაზე მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. გეოლოგიურ ლიტერატურაში, მდინარე ვერეს მარჯვენა სანაპირო, დაწყებული ყოფილი მე-9 საავადმყოფოს ტერიტორიიდან უნივერსიტეტის პირველ კორპუსამდე, მეწყერსაშიშ ზონად ითვლება, ხოლო მეწყერსაშიშ ფერდობზე მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა დაუშვებელია. თუმცა, მშენებლობა იქ მაინც მიმდინარეობს და შესაბამის დასკვნას ვინ გასცემს, არ ვიცი. შემოდგომის მოსული ნალექი ზომიერია და ანომალური არ არის. ამდენად, ეს ვერეს ადიდებას ვერ გამოიწვევს. თბილისისთვის ყველაზე სახიფათო გაზაფხულზე მოსული უხვი ნალექია, მაისის მიწურულიდან, ივნისის შუა რიცხვებამდე.“

მდინარე ვერეს ხეობაში მიმდინარე წლის 13 ივნისს მომხდარი სტიქიური მოვლენის გამომწვევი მიზეზების ანალიზის საფუძველზე, უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმის (2015 წელი, 9 ივლისი) შესაბამისად, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მოამზადა მიმდებარე ტერიტორიის შემდგომი უსაფრთხო გამოყენების ტოპოგრაფიული გეგმა, რომელზეც გამოყოფილია ის არეალი, რომელიც წარმოადგენს „მდინარე ვერეს ხეობაში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ ზონას.“ ჰიდროლოგიურ გაანგარიშებებში გათვალისწინებულია 2015 წლის 13-14 ივნისის კატასტროფული ხარჯი, რომელიც ისტორიულ მაქსიმუმს წარმოადგენს.

სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ადგილი, სადაც 3 თვის წინათ ტრაგედია დატრიალდა, მეწყერსაშიში ზონაა. თუმცა, ნათქვამი ნათქვამად რჩება, მშენებლობა კი გრძელდება.

სალომე გოგოხია

◎ რა ბედი ელის გარევაჭრობას?

მერია ახალ რეგულაციაზე მუშაობს

წლებია, რაც გარევაჭრობის პრობლემა ვერც ერთმა მთავრობამ ვერ გადაჭრა. ტროტუარებსა თუ მეტროს გასასვლელებში გავლა თითქმის შეუძლებელია, აღარაფერს ვამბობ ანტისანიტარიულ პირობებში საკვები პროდუქტების რეალიზებაზე, რაც ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ თითო გარემოვაჭრის უკან ოჯახებია, ვისთვისაც გარევაჭრობა არსებობის ერთადერთი წყაროა. ამიტომ, ქვეყანაში, რომლის ეკონომიკა ძალიან ნელი ტემპებით ვითარდება, უმუშევრობა ისევ მაღალ მაჩვენებელს ინარჩუნებს, ეროვნული ვალუტა უფასურდება, გარემოვაჭრეებისთვის საქმიანობის აკრძალვა შესაძლოა, ძალიან მტკივნეული აღმოჩნდეს.

bpn-სთვის ცნობილი გახდა, რომ დედაქალაქის მერია გარევაჭრობასთან დაკავშირებით ახალ პროექტს ამზადებს. დეტალების გასარკვევად მერიის პრესცენტრს დავუკავშირდით. როგორც ნარმანიას უწყების სპიკერმა გვანცა პაპავაძემ განმარტა, მერიის კეთილმოწყობის სამსახური გარევაჭრობასთან კავშირში არ არის, თუმცა, გარევაჭრობის საკითხზე მერია და საკრებულო ახალ რეგულაციებზე ერთად მუშაობენ, რომლის მიხედვითაც, გარევაჭრობა მოწესრიგდება, ბევრად უფრო ცივილურ ფორმას მიიღებს და ევროპული სტანდარტების შესაბამისი იქნება.

bpn კომენტარისთვის თბილისის საკრებულოსაც შეეხმიანა. თუმცა, პრესცენტრში გარევაჭრობასთან დაკავშირებით ახალი რეგულაციის მიღების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. როგორც პრესცენტრში გვითხრეს, ამ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოში კონკრეტული საკითხის განხილვა არ მიმდინარეობს. როგორც ჩანს, მერიასა და საკრებულოს შორის კოორდინაციის პრობლემა არსებობს, სხვა შემთხვევაში გაუგებარია ორი მუნიციპალური უწყებისგან მიღებული მკვეთრად განსხვავებული პასუხები.

საგულისხმოა, რომ გარევაჭრობა მავანთათვის ხშირად ხელის მოთბობის საშუალება იყო. კორუფციის რისკები გარევაჭრობაში განსაკუთრებით მას შემდეგ გაჩნდა, რაც კანონით გარევაჭრობა მართალია აიკრძალა, მაგრამ სახელდახელო დახლები თითქმის ყველა ქუჩაზეა მოწყობილი. დაახლოებით ორი თვის წინათ სამართალდამცველებმა მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ახლად დანიშნული თანამშრომელი დავით ბალიაური ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. გამოძიების ცნობით, მან საზამთროს გამყიდველს 300 ლარი გამოსძალა, სანაცვლოდ კი, ხელშეუხებლობის გარანტია მისცა.

სალომე გოგოხია

◎ ალიან-ჩალიანი

წესით კოჯორსა და კიკეთს სტიქიის აღარ უნდა შეეშინდეთ

დაბა კოჯორსა და კიკეთში 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული გრუნტის დამჭერი თოთხმეტივე კედელი აღდგენილია.

დასრულებული სამუშაოები თბილისის საკრებულოს მთაწმინდის მაჟორიტარმა დეპუტატმა ჯაბა ჯიშკარიანმა ამავე რაიონის გამგებლის მოადგილე ბადრი ხვადაგიანთან ერთად დაათვალიერა.

როგორც დეპუტატმა აღნიშნა, სტიქიის დროს საკრებულომ მყისიერი რეაგირება მოახდინა და გამგეობებსა და მერიის შესაბამის სამსახურებს მეორე დღესვე მისცა თანხმობა დროულად განეხორციელებინათ გამაგრებითი სამუშაოები.

13-14 ივნისის სტიქიის შედეგად, თბილისის შემდეგ ყველაზე ძლიერად დაბა კოჯორი და დაბა კიკეთი დაზარალდა. როგორც აღმოჩნდა, კედლები უხარისხოდ იყო აშენებული, რამაც ფატალურ შედეგამდე მიგვიყვანა. იყო საშიშროება, მთლიანად წამოსულიყო მიწა და დანგრეულიყო სახლები. საკრებულომ მყისიერი რეაგირება მოახდინა და მერიისა და გამგეობის ერთობლივი ძალისხმევით სტიქიის მეორე დღესვე დაიწყო კედლების აღდგენა.

დღეს უკვე სახეზეა საუკუნოდ გამაგრებული გრუნტის დამჭერი კედლები, რომლებიც ყველა სტანდარტის დაცვის მიხედვით აშენდა. თითოეულ მათგანში ჩამონტაჟებულია სადრენაჟე მილები, რაც სამომავლოდ თავიდან აგვაცილებს სტიქიით მიყენებულ ზარალს.

ომის დროს გადამნვარი ტყე აღდგება

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი ბორჯომის რაიონში იმყოფებოდა, სადაც გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელის მოადგილე შამბი შორპისთან ერთად, პროექტის — „მდგრადი განვითარება და გარემოს მიმართ პასუხისმგებლობა“ შედეგებს ადგილზე გაეცნო.

პროექტი, ფინეთის მთავრობის დაფინანსებით, გაერო-ს განვითარების პროგრამის მიერ 2010 წლიდან ხორციელდება და 2008 წელს რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ხანძრით განადგურებული ტყის მასივის აღდგენას ითვალისწინებს. 2008 წელს ხანძრის შედეგად ბორჯომის ხეობაში 950-მდე ჰა ფართობი დაზიანდა, აქედან სრულად განადგურდა 250 ჰექტარი.

სულ პროექტის ფარგლებში 80 ჰექტარზე დაირგო 120 ათასზე მეტი მუხის, ფიჭვისა და ნაძვის ნერგი. 60 ჰექტარზე სამუშაოები ჩატარდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ეროვნული სატყეო სააგენტოს, ფინეთის მთავრობისა და გაერო-ს განვითრების პროგრამის მხარდაჭერით, ხოლო 20 ჰექტარზე — ავსტრიის მთავრობის დახმარებით. გაიხსნა საცდელი სასკოლო სანერგე, რომელიც ნორჩი მეტყევეების განათლებას ემსახურება და ნერგებით ამარაგებს ტყის აღდგენით სამუშაოებს. სტუმრებმა ეკოკლუბელებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად დარგვის აქციაში მიიღეს მონაწილეობა.

ინტერპრესი

წმიდა ილია მართლის პოლიტიკური მრწამსი



რეალური სურათი სოციალური მდგომარეობისა, რომლის ფონზეც ჩვენ დიდი ილიას შეხედულებებს განვიხილავთ, საკმაოდ კარგად ჩანს შემდეგი ცნობიდან: საბჭოთა კავშირის არსებობის მიწურულს, 1987-1991 წლებში ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის პირველი ხუთი ტომი, თითოეული 80 000-ანი ტირაჟით დაიბეჭდა, ხოლო უკვე დამოუკიდებელ საქართველოში ტირაჟი ჯერ 700-მდე, ბოლოს კი 300-მდე შემცირდა. ასე ასახა ქართული კულტურის კატასტროფა ილიას ბეჭდურ თხზულებათა სტატისტიკურმა მაჩვენებელმა, რომლის მიხედვით ჩამორჩენის კოეფიციენტი 99,6%-ის ტოლია.

მიუხედავად ამისა, პესიმისტური იდეებისთვის თავის მიცემის უფლება არ გვაქვს, რადგან თვით წმიდა ილია მართალი დგას ზნეობის სადარაჯოზე და მარადჟამს შეგვახსენებს, რომ ეროვნულ საუნჯეთა დაცვა და შთამომავლობისთვის გადაცემა ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა. ამ საუნჯეთა შორის კი, ჩვენი აზრით, საკითხი მამულის პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევისა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მას აქტუალობას ჩვენი ქვეყნის მუდამ რთულ სიტუაციაში ყოფნა სძენს: XVIII ს-ში საქართველომ, სპარსეთისა და ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ, ერთმორწმუნე რუსეთთან მოკავშირეობის გზა აირჩია, ხოლო ამჟამად, XXI ს-ში, აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის გარეშე დარჩენილი საქართველო ორიენტირებულია ლგბტ-ის უფლებათა დამცველ აშშ-სა და ევროკავშირთან თანამშრომლობაზე, რუსეთთან ურთიერთობის პერსპექტივა კი ბუნდოვანი ჩანს; იმის მაგივრად, რომ მეზობელ სახელმწიფოსთან კონფლიქტის მოგვარებას ვცდილობდეთ, გარეშე ძალების ზეგავლენის გამო მასთან დიპლომატიურ ურთიერთობასაც ვერ ვახერხებთ.

სამ საუკუნეს შორის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საკითხებზე პარალელების გასავლებად, პირველ ყოვლისა, ჩვენ ილიას ცნობილ მოთხრობას „მგზავრის წერილებს“ მივმართეთ, რადგან ამ მეოთხედი საუკუნის წინ ეროვნულ-პოლიტიკურმა სპექტრმა სწორედ მასში აღმოაჩინა ხალხის ფართო მასებზე ზემოქმედებისთვის საჭირო მაგიური ფრაზა.

„მგზავრის წერილებში“, როცა მგზავრი მოხევე ლელთ ღუნიას ეკითხება, უწინდელი დრო რით იყო უკეთესიო, მოხევე პასუხობს: ადრე, ავად თუ კარგად, „ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“ და ამით იყო უკეთესიო. ქართველთა წესთ-წყობაზე სხვა მრავალი აუგის მოსმენის შემდეგ, ავტორი მოთხრობას, უფრო გავრცელებული ვარიანტის მიხედვით, ასეთი განსჯით ამთავრებს: **„მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ. ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსენებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისთვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისთვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია.**

ჩემმა მოხევემ მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისის სიტყვით თავისს გულისტკივილს მიმახვედრა.

მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..“

ძნელი სათქმელია, ამ ნესტრით რამდენი ქართველია ნაჩხვლეტი, მაგრამ, ალბათ, ანგარიშში არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და ე.წ. ეროვნული მოძრაობის დაწყების შემდეგ, ქართულ მედია-სივრცეში ლელთ ღუნიას სიტყვათა ციტირების ინდექსი თვით ილიას ცნობილ ტრიადასაც **(მამული, ენა, სარწმუნოება)** აღემატება. იგი არა მარტო მომიტინგე პარტიათა ლაიტმოტივად, არამედ მთელი ქართული პოლიტიკის ლოზუნგად გადაიქცა. ერთი თანამედროვე ისტორიკოსი დღესაც შეგვახსენებს: **„ზვიად გამსახურდია 1976 წელს, იმხანად გამოუქვეყნებელ წერილში აღნიშნავდა: „დიდმა ილიამ მთელი თავისი მოღვაწეობის საზრისი ჩააქსოვა ლელთ ღუნიას სიტყვებში: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“. ამას მიელტვოდა ქართველ მწერალთა რჩეული თაობა მეცხრამეტე საუკუნეში, ამას შეეწირა დიდი ილია“[1].**

ამჯერად, ჩვენ საშუალება არა გვაქვს XIX ს-ის ქართველ მწერალთა რჩეული თაობის თხზულებათა განხილვისა, მაგრამ მთავარი საკითხის გამოყოფა მაინც შეიძლება: დიდმა ილიამ მთელი თავისი მოღვაწეობის საზრისი მართლა ლელთ ღუნიას სიტყვებში ჩააქსოვა და მართლა მას შეწირა თავი? — იმის იმედით, რომ ხვალ მიტინგს არავინ მოაწყობს და ჩემი მოსაზრების დასაგმობად საზოგადოების ეგზალტირებას არ შეეცდება, თავს უფლებას ვაძლევ, დასმული საკითხი კრიტიკულად განვიხილო და მსმენელის წინაშე რამდენიმე არგუმენტი პუნქტობრივად წარმოვადგინო.

1. ილიას მოთხრობაში ლელთ ღუნიას პირით გამოთქმული თეზა XX ს-ის ბოლოს ქართული პოლიტიკის კარდინალურ საკითხად იმიტომ გადაიქცა, რომ „ეროვნული მოძრაობის“ თავკაცებმა მასში არა მარტო სახელმწიფოს დამოუკიდებლობისკენ მიზანსწრაფვა, არამედ რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული კავშირის დარღვევაც იგულისხმეს. იდეურად, აღნიშნული თეზა მათ ამის საშუალებას აძლევდა, რადგან მოხევე, ფაქტობრივად, გეორგიევსკის ტრაქტატით გაფორმებული კავშირის წინააღმდეგი იყო, ხოლო „ეროვნულები“ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში საქართველოს ყოფნისა.

რამდენადაც ქართულმა სინამდვილემ ილიას მოთხრობა დოკუმენტად აქცია და მასში გამოხატული აზრები თვით ავტორის პოზიციასთან გააიგივა, მაშინ ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ „მგზავრის წერილების“ ყველა იდეური ნიუანსი და შესაბამისი დასკვნაც გამოვიტანოთ.

2. ვფიქრობთ, სადავო არ არის, რომ ლელთ ღუნიას თეზას პოლიტიკური სტატუსი მოთხრობის დასასრულმა მიანიჭა. სწორედ მოხევის სიტყვათა გამეორებამ და მისით გამოწვეულმა გალისტკივილმა გამოკვეთეს მისი რელიეფური სახე, თორემ მარტო დიალოგის დროს „ავად თუ კარგად“ ნათქვამი მოხევური სიტყვა ისტორიულ მნიშვნელობას ვერ შეიძენდა. გასაგებია, რომ ლელთ ღუნიას ფრაზამ ზემოთ განმარტებული შინაარსი შეითვისა, მაგრამ, გარდა მგზავრის თანაგრძნობისა მოხევის მიმართ და „რაღაც უეცარი ტკივილისა“, ჩვენ თვით ავტორის პოზიციას, ანუ სამოქმედო პროგრამას, როგორც ეს თვით ბრძენ ილიას სჩვეოდა, ვერ ვხედავთ.

ამიტომ გვიხსნის: „მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისი სიტყვით თავისს გულისტკივილს მიმახვედრა“. — ეს არც არის გასაკვირი, რადგან სამშობლოში ახლახან დაბრუნებული უგვირგვინო მეფე, თუმც ჯერ კიდევ 24 წლისა, პასუხს ტკივილების დასაამებლად თავისი საყვარელი მიწა-წყლისგან ელის. მან ჯერ ბევრი რამ არ იცის: **„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე“; „კარგია გალვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურობით გულაღტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები“. — სამწუხაროდ, ამ ლამაზ ქვეყანას არ აღმოაჩნდა უნარი, რომ მისთვის თავგანწირულის ბრწყინვალე ნათელს შესდგომოდა და ღმრთისგან წარმოგზავნილისთვის თაყვანი ეცა, მაგრამ ეს ცალკე თემაა და ჩვენ ისევ „მგზავრის წერილებს“ მივუბრუნდეთ.**

3. ჩვენი აზრით, ავტორი რომ მოხევის ნაუბარს არ განსჯის, არამედ მხოლოდ მის კონსტატირებას ახდენს, მთელი დიალოგიდან ჩანს. მაგალითად, მგზავრი არ პასუხობს ემოციებს აყოლილ მოხევეს, რომელსაც მშვიდობიანობის გახანგრძლივებამ (ამ დროისთვის რუსეთის მფარველობაში თითქმის 60 წელი იყო გასული) წარმოდგენა შეუსუსტა: **„რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდაბას ცარიალ სტვამაქით... ცარიალ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის“;** ეტყობა, რომ მოხევე ლეკთა, სპარსთა და ოსმალოთა შემოსევების საშინელებასაც სათანადოდ ვერ აანალიზებს: „აწინა მავალე სვამეხი უფროს გვაწიოკებს, უფროს სახლს გვიკლებს“; ამასთან, მოხევეს ძმათმკვლელ ომებზე ბევრი კი სმენია: „კახთა ვაჟანი ხევისანი მრავალნი მოხოცნეს“, მაგრამ იმის მადლიერი არ არის, რომ „აწინა ყოველნი ქართველნ ძმანები ვართ“.

მოკლედ, ლელთ ღუნია ერთი ჩვეულებრივი ქართველია, რომლის გრძნობები გონებაზე ბატონობენ და ამიტომ აზრიც ყველაფერზე თავისი აქვს, რომლის არც გულწრფელად გამოხატვისა ერიდება. გამომსახველობის თვალსაზრისით, მგონია, რომ ლელთ ღუნია ტიპური წარმომადგენელია ჩვენი საზოგადოებისა, მაგრამ ეს არ ნიშნავს მისი თვისებების ან აზრების იდეალიზაციას, რაც არც მის შემოქმედს დაუსახავს მიზნად.

4. ამასთანავე, როგორც დოკუმენტური მასალიდან ჩანს, მოთხრობის ბოლო აბზაცის მიმართ თვით ილიასაც ორჭოფული დამოკიდებულება ჰქონია. ამის თქმის უფლებას ის გვაძლევს, რომ „მგზავრის წერილების“ ჩვენამდე მოღწეული სამი ავტოგრაფიდან ერთ-ერთში (ხელნაწ. U, № 149) ბოლო აბზაცი („მიგიხვდი... პასუხი“) მთლიანად გადახაზულია[2], ხოლო მოთხრობის პირველი პუბლიკაციის (ჟ. „კრებული“, №5, 1871. გვ. 1-16) ბეჭდურ ტექსტში იგივე აბზაცი, გარდა პირველი წინადადებისა („მიგიხვდი... ნაჩხვლეტი“), ასევე შეტანილი არ არის[3].

[1] **ყორანაშვილი გ. ისევ წიწამურის ტრაგედიის საიდუმლოს შესახებ, თბ., 2013. გვ. 183.**

[2] **ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი (ოც ტომად), ტ. II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ეთერ შარაშენიძემ და ლეილა სანაძემ, თბ., 1988. გვ. 562.**

[3] **იქვე, გვ. 448-ის შემდეგ, ჩანართის IV გვზე დაბეჭდილია ფოტოპირი.**

გრიგოლ რუხაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ჟურნალ „სამი საუნჯის“ რედაქტორი

(დასასრული იძნება)

ალიან-ჩალიანი

ახალი ბიბლიოთეკა ბორჯომში

ბორჯომის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ სამუშაო ადგილი შეიცვალა და „ჩარხისწყლის“ დასახლებაში, თორის ქუჩა №2 არსებულ შენობაში განთავსდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ შენობაში ბიბლიოთეკისათვის 23682 გამოიყო და სრულად გარემონტდა.

ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში მოხდა ვიტრაჟების ნაწილობრივი დემონტაჟი. მოეწყო თაბაშირ-მუყაოს ტიხრები, დამონტაჟდა მეტალოპლასტმასის ერთფრთიანი კარები. კედლები დამუშავდა და შეიღება წყალ-ემულსიის საღებავით. ასევე შეიცვალა „ამსტრონგის“ შეკიდული ჭერის ნაწილი, ჩატარდა ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები. ბიბლიოთეკის ფართის რეაბილიტაციისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 21 975 ლარი გაიხარჯა და ის ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შპს „მშენებელმა“ შეასრულა.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სირია, უკრაინა... სადღაა საქართველო?

თბილისში აქტიურად განიხილავენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრასა და გამოსვლებს ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის საიუბილეო სესიაზე. ბევრი ქართველი მეთვალყურე და ექსპერტი არ მალავს თავის გაწბილებას იმით, რომ ორი ქვეყნის ლიდერების შეხვედრების დროს საუბარი იყო მხოლოდ უკრაინაზე, არა საქართველოზე. პრეტენზიები დღეს გაისმის მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მისამართითაც — ბევრი უკმაყოფილოა გაეროს შტაბ-ბინაში მისი გამოსვლებით.

„მე სულ უფრო მეტად მინდა გავიგო, თუ ვინ წერს პრემიერ-მინისტრის გამოსვლის ტექსტებს?“, — აღშფოთებულია პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი. მას არ ესმის თუ ირაკლი ღარიბაშვილმა ოთხი დღის განმავლობაში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე როგორ არა თქვა არცერთი სიტყვა რუსეთის შესახებ. მთავრობის მეთაურმა არ ისარგებლა გაეროს ტრიბუნით საქართველოს პრობლემებისადმი ყურადღების მიპყრობისათვის. ქართული დიპლომატიის ჩავარდნად მიიჩნევს სტაჟიანი პოლიტოლოგი იმასაც, რომ ბარაკ ობამა და ვლადიმერ პუტინი საუბრობდნენ სირიაზე, უკრაინაზე, მაგრამ საქართველოზე, რომელიც 7 წლის წინათ რუსეთის აგრესიას გადაეყარა, არ თქმულა არცერთი სიტყვა. **სოსო ცისკარიშვილი: „2008 წლიდან ვამბობ, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი წარმოადგენდა რეგიონალური მასშტაბის საფრთხეს, მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, ახლა კი რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი — გლობალური მასშტაბის საფრთხეს. საქართველოდან დაიწყო კრემლის ვირუსული პოლიტიკის გავრცელება და დღეს კრემლის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათთვის მიუღებელია საქართველოს მისწრაფება ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ. და ამ ფონზე, თუ საქართველოს პრემიერ-მინისტრისაგან გაეროს შტაბ-ბინაში ვერ მოვისმენთ ამის შესახებ, თუ იგი ვერ შესძლებს წარმოსთქვას სიტყვები „ნატო“ და „რუსეთი“, ეს ჩვენი ქვეყნისთვის იქნება ნაბიჯი უკან. ასე რომ, აქედან მინდა წავახალისო ჩვენი ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი: ახსენე, ახსენე სიტყვები „ნატო“, „რუსეთი“.**

სოსო ცისკარიშვილს იმედი აქვს, რომ სიტუაცია ჯერ კიდევ შეიძლება გამოსწორდეს. ღარიბაშვილის ძირითადი გამოსვლა ხომ გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე 1 ოქტომბრისთვისაა დანიშნული.

„იცით, როდესაც წააგებ პირელ ტაიმში, იმედი გაქვს მეორისა“, — დაუმატა სოსო ცისკარიშვილმა.

ვერაფერ არაუჩვეულებრივს ვერ ხედავს მომხდარში სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი **ირაკლი ფოფხაძე.** ის დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობის მეთაური არ დააყენებს საკითხს ქართული ტერიტორიის ოკუპაციის შესახებ გაეროს ტრიბუნიდან: **„ეს გასაკვირი არაა. როდესაც პრემიერ მინისტრი ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს ნიშნავს და აცხადებს, რომ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი ეკონომიკაა, არ უნდა ველოდოთ სხვა რამეს...“**

იმას, რომ ქართულმა დიპლომატიამ ვერ შეძლო დაეკავშირებინა თავისი პრობლემები ომთან უკრაინაში, „გაშვებულ შანსად“ მიიჩნევს საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტიც **შორენა ლორთქიფანიძე.** თუმცა საქართველოს პოზიცია გაეროს შტაბ-ბინაში მას არ მიაჩნია წაგებულად: **„ის, რომ საქართველო გახდა ნატოს არაწევრი მეოთხე ქვეყანა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სამშვიდობო მისიაში და სწრაფი რეაგირების ძალებში, ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტი როდია. ეს მას წარმოაჩენს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან მხარედ“.**

როგორც შორენა ლორთქიფანიძე აღნიშნავს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს მსოფლიოს ყველაზე ცხელი წერტილები — ეს, მაინც, სირია და უკრაინაა“.

საქართველო ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებს შეუერთდა

საქართველო შეუერთდა ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებს და შემდგომ მონაწილეობას მიიღებს გაეროს სამშვიდობო მისიებში. ამის შესახებ განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, როდესაც გამოდიოდა ნიუ იორკში გაეროს ყოველწლიურ სამიტზე სამშვიდობო მისიებთან დაკავშირებით.

„ჩვენ ვიქნებით ნატოს არაწევრი მეოთხე ქვეყანა — ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში, რაც საქართველოს შეიარაღებული ძალების მაღალ დონეზე მიუთითებს. ამ მომენტისათვის სწრაფი რეაგირების რეზერვში 130 ქართველი სამხედროა“, — განაცხადა საქართველოს მთავრობის მეთაურმა.

იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ შედიან ნატოში, საქართველოს გარდა, სწრაფი რეაგირების ძალებში მონაწილეობენ ფინეთი, შვედეთი და უკრაინა. 2003 წელს შექმნილი ამ ძალების მიზანია სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა, დახმარების გაწევა გაჭირვების დროს, კრიზისის წინააღმდეგ მოქმედება მის ესკალაციამდე.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, ქართული სამხედრო კონტინგენტი უკვე მონაწილეობს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მალისა და უკრაინაში მისიებში და, ამავე დროს, განზრახული აქვს შეუერთდეს ნატოს სამშვიდობო მისიას, თუმცა, არ დაუზუსტებია, კერძოდ რომელ ქვეყანაში, რომ გაეროს სამშვიდობო კონტინგენტი (ეგრეთ წოდებული „ცისფერი ჩაფხუტები“) ამჟამად 125 ათას სამხედროს ითვლის.

საქართველოს მრავალწლიანი გამოცდილება — 17 წელია. 1999 წლიდან ქვეყანა მონაწილეობას ღებულობდა მისიებში კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთში.

ამას გარდა, ქვეყანა მონაწილეობას მიიღებს გაეროს სამშვიდობო მისიაში

უცნობია, რომ კერძოდ რომელ ქვეყანასა და როდის გაემგზავრებიან ქართველი სამხედროები, საქართველოს პოლიტიკურმა სპექტრმა ერთმნიშვნელოვნად გამოხატა საქართველოს ხელისუფლების გადაწყეტილების მხარდაჭერა. მით უმეტეს, რომ, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ აღნიშნა, ყველა სხვა მისიებისაგან განსხვავებით, ნატოს მისია არ გულისხმობს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას.

„იყო გაეროს „ცისფერი ჩაფხუტების“ წარმომადგენელი — დიდი ღირსებაა. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოს ყველაზე მთავარი კოლექტიური ორგანოს სახელით შენ ამთავრებ ომს და ამყარებ მშვიდობას იქ, სადაც ბევრი ადამიანი კონფლიქტის მსხვერპლად იქცა. ჩვენს შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ უზრუნველყონ უშიშროება გაცილებით მეტ ადგილას ვიდრე ჩვენ ამას ვაკეთებთ ამ ეტაპზე“, — განაცხადა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის გაკეთებულ კომენტარებში საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ანა დოლიძემ.

ხელისუფლების გადაწყვეტილება მოიწონა ოპოზიციამაც, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია შეიტანოს თავისი წვლილი საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფაში.

„საქართველოს უშიშროებისათვის“

ყველა სამშვიდობო მისიიდან, რომლებშიც საქართველო მონაწილეობდა, მშვიდობისმყოფელთა ყველაზე მეტი ოდენობა (31 კაცი) დაიღუპა ნატოს ავღანეთის მისიაში სამსახურის დროს. 29 სექტემბერს ქალაქ რუსთავში გაიმართა პირველი კლასის რიგითი ჯარისკაცის, 21 წლის ვასილ ყულჯანიშვილის სამხედრო ღირსებით დაკრძალვა, რომელიც მსახურობდა ავღანეთში ბაგრამის ავიაბაზაზე და რომელიც პატრულირების დროს დაიღუპა. რუსთავში, გარდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებისა, ჩავიდა საქართველოში შეერთებული შტატების ელჩიც იან კელი, რომელმაც ამერიკელი ხალხის სახელით თანაგრძნობა გამოუხატა დაღუპული მეომრის ოჯახს და მთელ ქართველ ხალხს.

საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფით საქართველო ამავე დროს იბრძვის საკუთარი დამოუკიდებლობისათვის. ესე იგი, არის საერთაშორისო სამშვიდობო მისიის ნაწილი, ქვეყანა წინ მიიწევს ატლანტიკური ინტეგრაციის გზით რაც, საბოლოოდ, გახდება საქართველოს უშიშროების გარანტია, ესე იგი დაიცავს ქვეყანას აგრესიისგან რუსეთის მხრიდან.

შეგახსენებთ, რომ რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის დროს 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა და თავის სამხედრო ბაზებში ამ ტერიტორიებზე შეიყვანა დამატებითი ძალები და შეიარაღება. მსოფლიოს ყველა ქვეყანა — ვენესუელის, ნიკარაგუასა და ნაურუს გარდა — მითითებულ რეგიონებს მიიჩნევს საქართველოს ტერიტორიად, რომელიც რუსეთის მიერაა ოკუპირებული.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ისრაელმა ღაზის სექტორში „ჰამასის“ ობიექტებს ავიადარტყმების სერია მიაყენა

ისრაელის თავდაცვის არმიის პრესსამსახურის ცნობის თანახმად, შეტევა მიაყენეს „ჰამასის“ ოთხ ობიექტს. ისრაელის სარდლობა აღნიშნავს, რომ საჰაერო დარტყმები არის სექტორ ღაზის ტერიტორიიდან რეაქცია სარაკეტო დარტყმებზე. აღვნიშნავთ, რომ რაკეტა, რომელიც გაუშვეს პალესტინის ტერიტორიიდან, ჩამოაგდო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემამ.

* * *

საუდის არაბეთმა არ გამორიცხა ასადის სამხედრო გადაყენება, თუ იგი თავად არ წავა

ადელ ელ-ჯუბეირის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ სირიის ამჟამინდელ პრეზიდენტს აქვს სიტუაციის მოწესრიგების მხოლოდ ორი სცენარი. „პირველი — ესაა პოლიტიკური პროცესი, რომლის დროსაც შეიქმნება გარდამავალი საბჭო. მეორე ვარიანტია კიდევ სამხედრო გადაწყვეტილება, რომელიც ასევე ბაშარ ასადის გადაყენებით დამთავრდება“, — განმარტა პოლიტიკოსმა.

* * *

თითების ანაბეჭდმა შეიძლება გასცეს ადამიანის რასობრივი კუთვნილება

მეცნიერებმა შეადარეს ამერიკელების ევროპელებთან და აფრიკელ ძირძველ მოსახლეობასთან ბაპილარობის მონახაზები და გამოარკვიეს, რომ ისინი იცვლება ადამიანის რასობრივი მიდრეკილების შესაბამისად. მეცნიერების აზრით, ახალი მონაცემები შეიძლება გამოგვადგეს გენეალოგიის შედგენისათვის, ისევე, როგორც დანაშაულების კვლევასა და დამნაშავის პიროვნების დადგენაში.

* * *

კერი: პუტინი შეიძლება სუნიტური ჯიხადისტებისათვის სანიშნე აღმოჩნდეს

ასეთი შეიძლება იყოს ბაშარ ასადის შიიტური რეჟიმის მხარდაჭერის შედეგები. სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის ცვლილების შესახებ: ახლა შტატები შესაძლებლად მიიჩნევენ ასადის ჩამოშორებას ხელისუფლებისაგან ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდის შედეგად.

* * *

შვიდეულის ჯგუფი და კიდევ 12 ქვეყანა გამოუყოფენ გაეროს 1,8 მილიარდ დოლარს ლტოლვილთა დასახმარებლად

ქვეყნებმა მოილაპარაკეს გამოუყონ საფინანსო დახმარება გაეროს საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, კერძოდ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამმართველოსა და მსოფლიო სასურსათო პროგრამას. ეს გადაწყდა „შვიდეულის“ და პარტნიორების მინისტრების შეხვედრის დროს, რომელიც მიმდინარეობს ნიუ იორკის ერთ-ერთ სასტუმროში.

ვინ არ იცის ის ძალაძი, რომელიც ყოველთვის შენთანაა, როგორც ე.ჰემინგუეი წერდა. მაგრამ დროება იცვლება, მასთან ერთად ძალაძეებიც. თუმცა, რაღაც მაინც რჩება წინა სურნელებიდან.

სათითეები პიგალის ქუჩიდან

ცნობილია, რომ პარიზი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ელეგანტური დედაქალაქია. საუკუნეების შემდეგაც ქალაქმა შეინარჩუნა წარსული დროების რომანტიზმი. ნებისმიერი მოგზაური მონახავს აქ გასართობს გემოვნების მიხედვით. საუკეთესო სეზონი გაზაფხულია. ყველაფერი ცოცხლდება, ჰაერში ბუდობს სიყვარულის სურნელი. თავისებურად კარგია შემოდგომაც...

როდესაც პარიზში პირველად ჩავედი, გაწბილება ვიგრძენი. ველოდებოდი მეხილა რომანტიკული მოქალაქეები, დავინახე კი... ჯერ ერთი, ფრანგები არ არიან უფრო რომანტიკულები, ვიდრე ჩვენ თქვენთან ერთად. მეორეც, როგორც მე მომეჩვენა, პარიზის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, შავკანიანია. და ეს კი არ გაღიზიანებს, არ იწვევს უსიამოვნებას, არამედ გაოცებს: ქალაქი თითქოს ნახევრადფრანგულია.

მაგალითად, დილით მეტროს გადაჭედილ მთელ ვაგონში თეთრკანიანი მხოლოდ ხუთი თუ იქნება. ფიქრობ: იქნებ, შენ აფრიკაში ხარ? არის იქ მეტრო?

პარიზის ერთი მესამედი არის რაიონები, სადაც შესვლას თეთრკანიანებს განსაკუთრებით არც ურჩევენ. ესაა, მაგალითად, ბარბესი ან შატო-რუჟი. მათ მხოლოდ ფრანგული სახლები ჰქვიათ. საუბარი კი ირგვლივ არის არაბული ან თურქული. რაიონები „მულენ-რუჟიდან“ ორ ნაბიჯზეა — არც ქალაქგარე უბნებია და არც განაპირა მხარეები.

ბომჟები პარიზში ყველგან არიან, ცუდ ხასიათზე გაყენებს მათი ოდენობა. ვიღაც ცხოვრობს მეტროში, ვიღაც პირდაპირ ქუჩაში კარვებში, ვიღაც კიდევ — სადაც მოუწევს. ბევრჯერ დავინახე ადამიანები, რომლებიც ღამის გასათევად იბუზებიან სატელეფონო ჯიხურებში ან მივარდნილ ქუჩაბანდებში. „შოპინგური“ ელიტური ქუჩიდან (ოპერის რაიონია) რომ გადაუხვევ ოდნავ გვერდით შეიძლება გადაეყარო მამაკაცებს, ქალებს, ბავშვებს, რომლებიც მუყაოს ყუთებში ცხოვრობენ. თითქმის ყველა მიტოვებულ სახლსა და ქარხანაში ცხოვრობენ. იქ ბომჟების, იმიგრანტების, ჰიპების ნამდვილი კოლონიებია... გხვდება უკანონო დასახლებანი. ბოშები, მაგალითად, აშენებენ ბანაკებს ნიადაგსახმარი საშუალებებით: ესენია სავაჭრო კარვების, ძველი მანქანების ნარჩენები, სადღაც ნაპოვნი ფიცრები. გარკვეულ დრომდე ამ ბანაკებში პოლიციასაც კი ეშინოდა შესვლისა. ამ ცოტა ხნის წინათ დააწყეს მათი დახურვა, ჯალაბობის გამოყრა.

ქუჩებში საკმაოდ ბლომადაა საყოფაცხოვრებო კრიმინალი. არ არის იშვიათი ჩხუბი. გამონაკლისს შეადგენს, ალბათ, ელიტური საძინებელი რაიონები. ჯიბის ქურდები არიან ყველა ტურისტულ ადგილში — ყველგან, სადაც ხალხის სიმრავლეა.

ჩემი ნაცნობი პატრიკი გაძარცვა ჯიბის ქურდმა, ამოაცალა საფულე, რომელიც, მიაქციეთ ყურადღება, ქურთუკის შიგნითა ჯიბეში ჰქონდა. თანაც პატრიკი გაძარცვეს ოპერის რაიონში, რომელიც, როგორც შენიშნავდით, მდიდრული და პრესტიჟულია. პიგალის ქუჩაზე, სადაც „მულენ რუჟია“, შეიძლება ნახო მესათითურეებიც. გულუბრყვილოებს ატყუებენ, ჩვეულებრივად, სამნი — ორი მამაკაცი და ქალი. რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, ხალხი დღემდე ვარდება მათ მახეში.



ვისთვის ძელურაა ასი წლის, ვისთვის — საწოლი...

ღირს პარიზი მესად?

ტაძრის Sacze Caeuz-ის მახლობლად მუდმივ სამუშაოს ასრულებს 10-15 ახალგაზრდა მაგარი აფრიკელი. ისინი გარს ეხვევიან მსხვერპლს და სთავაზობენ შემოიხვიონ თითზე ძაფი — ამისთვის ფული უნდა გადაიხადოთ. თანაც გთავაზობენ „საქონელს“ დაჟინებით. და გამოიყურებიან არც თუ მეგობრულად. გახსენდება ოდესური ფრაზა „იყიდე აგური!“. ისინიც ბევრია, ვინც გთავაზობს იყიდო ოქრო, სუნამო, ჰაშიში, გოგონა... ისინიც ბევრია. მაგრამ ისინი (თუნდაც სიტყვებით) არ იმუქრებიან. ჰაშიშის შესახებ არ შემშლია — ის უბრალოდ შეიძლება იყიდო მეტროს სადგურ „ბარბეს-როშაშუართან“. სწორედ იქ იყრიან თავს ახალგაზრდები, რომლებიც ღიად, მოურიდებლად გაიძახიან: „მალბორო, ჰაშიში!“.

მითები მოდის შესახებ

ვიტყვი ახლავე: ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ტურისტები პარიზელ ქალებში და მამაკაცებში. თანაც ძალიან ხშირად აფრიკელები და მუსლიმანები დადიან ქალაქში ეროვნულ ტანსაცმელში. ფრანგების უმეტესობას აცვია ერთობ მორიდებულად. თვალში გეცემა, რომ მამაკაცები ხშირად უფრო მოდურად ჩაცმულები არიან, ვიდრე ქალები. გასაგებია, საერთო ფონზე გამომწვევი სიკაშკაშით გამოირჩევიან გეები. ადამიანთა უმრავლესობას ისინი... როგორ ვთქვათ... არ უყვარს. მაგრამ მათ კანონი იცავს. რას იზამ, ევროპაა!...

როგორც არ უნდა იყოს, თუ მიგაჩნიათ, რომ პარიზში უკლებლივ ყველა მოდურია, იცოდეთ — ეს ბაიკაა! (რბილი ხაოიანი ქსოვილი ბამბისა ან მატყლის; თივთიკი).

რა არომატია?

დიახ, აბსოლუტური სიმართლეა: სურნელები ეიფელის კოშკთან და ტაძარ Sacze Coeuz-თან ფანტასტიკურია: ყველაფერი გასაგებია. ამ ტურისტული ობიექტების მახლობლად ბალ-მასკარადს მართავენ სუვენირების ქუჩის გამყიდველები. და ისინი აქ ტრიალებენ რვა-ათი საათის განმავლობაში. რა თქმა უნდა, ვაჭრობენ სუნამოებით, სხვა კოსმეტიკით. მაგრამ საიდან ასეთი სპეციფიკური მკვეთრი არომატები? ცხადია, არა „შანელ №5“-დან.

რომ გაიგოთ, უპასუხეთ შეკითხვას: სად მიდიან მოვაჭრეები საჭიროების შემთხვევაში? ვერ გამოიცანით! ისინი მიდიან უახლოეს ბუჩქებში. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ზაფხულში ისინი ლამის დღე-ღამის განმავლობაში მუშაობენ, სუნი იქ — საშინელია! სხვათა შორის, იქვე ახლოს ცხოვრობენ ბომჟებიც.

უბრალოდ გაუგებარია, რატომ არ აღელვებს ეს ყოველივე მუნიციპალურ ხელისუფლებას. მოსკოვში ამის მსგავსი რამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

მეტროში - უბილეთოდ

საფრანგეთში, რის შესახებაც ცნობილია ტელერეპორტაჟებიდან, სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს. და ყველას სხვადასხვა კულტურა აქვს. აქაც არის თავისი მითები, რომლებიც, სხვათა შორის, წარმოქმნილია სწორედ ტელეკრიტიკოსების მიერ. აიო, მხოლოდ ადამიანს თეთრი კანით შეუძლია შეურაცხყოფა მიაყენოს შავკანიანს რასობრივი მტრობის გამო. სამწუხაროდ, უფრო ხშირად პირიქით ხდება. თუ აფრიკელს არ შეუძლია მიაღწიოს მიზანს ფიზიკური ძალით ან უბრალოდ არ შეუძლია მოეწყოს სამუშაოზე, ის აუცილებლად დაიწყებს ყვირილს ან განხილვას „მიკროფონში“ დისკრიმინაციის შესახებ. რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს, სასამართლო გარჩევების შემთხვევაში აფრიკელს აქვს მეტი შანსი დაადასტუროს, რომ მას რაღაც აწყენინეს. ამას შეიძლება ტოლერანტობის დანახარჯები ეწოდოს.

მუსლიმანები პარიზში ჩვეულებრივად არაბეთის ქვეყნებიდან არიან. სხვებისადმი მათი მომთმენლობის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ, მაგალითად, იმის მიხედვით, თუ როგორი რეაგირება მოახდინეს მათ იმაზე, რომ ორი არაბი მოზარდი, პოლიციელებისგან რომ გარბოდნენ, შევიდა ტრანსფორმატორის ჯიხურში და დენის დარტყმისგან დაიღუპა. თუ გახსოვთ, ამის გამო არაბებმა მოაწყვეს დარბევები და ხანძრები. მათი დაშოშმინება დიდხანს ვერ შეძლეს, თუმცა, მოზარდების დაღუპვაში მხოლოდ თავად ისინი იყვნენ დამნაშავეები.

არაბები, როგორც აფროფრანგები, პრინციპულად არ იხდიან საფასურს მეტროთი მგზავრობისათვის. მათ მიაჩნიათ, რომ მათმა პაპებმა საკმაოდ ბევრი იშრომეს თეთრკანიანებისათვის, როდესაც მეტროს აშენებდნენ. და ამიტომ მათ აქვთ უფასო მგზავრობის უფლება. ასეთია, აი, ფილოსოფია.

როდესაც მუსლიმანები ლოცულობენ, ისინი ბლოკავენ მეჩეთის მახლობელ ტროტუარებს, რომ გამვლელებმა ხელი არ შეუშალონ. ამ დროს საკრე-კიორის მოქმედი კათოლიკური ეკლესიის საფეხურებზე მუდმივად იკრიბებიან არაბები, შავკანიანები, როგორც თავად ფრანგები. გაისმის არაბული და ევროპული მუსიკის ხმა, სვამენ ალკოჰოლს, ეწევიან ჰაშიშს. მეჩეთებთან ამის გაკეთება დაუშვებელია.

რასაკვირველია, თუ ჩახვალ პარიზში, არაფერი გეწყინებათ, ბევრ ბრწყინვალე რამეს ნახავთ. თუმცა, შეხვდებით იმასაც, რის შესახებაც მე დავწერე.

ოლლა ბრონდასიე.

Литературная газета

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „გირო კრედიტის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ფატიმა რამონოვას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ფატიმა რამონოვა (პ/ნ 01011030013), თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №61, კორპუსი 19, ბინა №22;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვარტალი, კორპუსი 19/თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №61, ბინა №22, 47.00კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.14.03.021.003.01.022);

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 76650,76 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 16 ოქტომბერი, 10:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** ფატიმა რამონოვა (პ/ნ 01011030013), თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №61, კორპუსი 19, ბინა №22.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (1. ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602 ან 2. ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინაღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 16 ოქტომბრის 10:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ ფეხბურთი

ვითომ სენსაციები

სენსაციები სპორტული ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია, თუმცა, არის სიურპრიზები, გარკვეულწილად ტენდენციის ხასიათს რომ იღებს, ამიტომ ამა თუ იმ დოზით ისინი კანონზომიერებადაც კი უნდა შეფასდეს.

ასე მაგალითად, ლონდონის „არსენალმა“ საფეხბურთო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის სასტარტო მატჩი ზაგრებში ხორვატ დინამოელებთან წააგო, მეორე ტურის შეხვედრა კი უკვე შინ „ოლიმპიაკოსთან“ დათმო – 2:3. აღნიშნული კვარტეტის უალტერნატივო ფავორიტის მიუნხენის „ბაიერნის“ ფაქტორის გათვალისწინებით „მე-

თოფეთა“ საპლეიოფო პერსპექტივა ფრიად ბუნდოვნად გამოიყურება, არადა მას შემდეგ, რაც განვლილ უქმეებზე არსენ ვენგერის გუნდმა პრემიერლიგის პრინციპულ ბრძოლაში ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი „ლესტერი“ დააჩოქა, ბევრმა შვებით ამოისუნთქა – წინასასეზონო კრიზისი უკან დარჩაო. როგორც ირკვევა, ამ პოპულარული კლუბის მრავალრიცხოვან ქომაგთა ოპტიმიზმი ნაადრევი ყოფილა.

იგივე შეიძლება ითქვას „რომას“ შესახებაც, რომელმაც იმდენი მოახერედა, რომ ბელარუსში ბატესთან დამარცხდა – 2:3 და კინკილა ქულით თავისი ჯგუფის ფსკერზე დამკვიდრდა. სხვათა შორის, პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლები 3:0-ს იგებდნენ.

და კიდევ, მე-80 წუთამდე უფსკრულის პირას იმოგზაურა „ბარსელონამ“, რომელიც ტრავმირებული მესის გარეშე საკუთარ თავს არ ჰგავდა და ბევრ კომპონენტში დაჩაგრა „ლევერკუზენმა“. კატალონიელთა მდგომარეობა უკიდურესად გართულდა მას შემდეგ, რაც ინიესტას კუნთი გაუწყდა და შესაცვლელი გახდა, მაგრამ მასპინძელთა თინეიჯერებმა სერხი რობერტომ და მუნირმა სუარესისა და ნეიმარის თანადგომით მოსახდენი მაინც მოახდინეს – 2:1.

II ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „პორტუ“ – „ჩელსი“ 2:1, „ბაიერნი“ – ზაგრების „დინამო“ 5:0 (ლევანდოვსკიმ 3 გოლი გაიტანა), „ლიონი“ – „ვალენსია“ 0:1, „ზენიტი“ – „გენტი“ 2:1, „მაკაბი“ – კიევის „დინამო“ 0:2.

გიორგი შოთაძე

◎ ავტოსპორტი

სებასტიან ლოები დაკარზე „პეჟოთი“ იასპარეზებს

რალიში მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი და პაიკს პიკის აღმართზე რბოლის რეკორდსმენი ფრანგი სებასტიან ლოები დაკარის 2016 წლის რბოლაში მიიღებს მონაწილეობას, ამის საშუალებას კი მას ფრანგული საავტომობილო კომპანია „PSA პეჟო სიტროენი“ მისცემს, რომელმაც რბოლისთვის სპეციალურად მოამზადა სარბოლო ავტომობილი „პეჟო 2008 DKR16“.

„პეჟომ“ დაკარის რბოლისთვის ნამდვილი „ოცნების გუნდი“ შეკრა. ლოების გარდა მასში ირიცხებიან რალიში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი კარლოს საინსი, დაკარის 11-გზის გამარჯვებული, ფრანგი სტეფან პეტერანსელი და მოტოციკლებში დაკარის 5-გზის

გამარჯვებული, ასევე ფრანგი სირილ დესპრე. ლოები და მისი ახალი თანაგუნდელები 3-9 ოქტომბერს მონაწილეობას მიიღებენ მაროკოს რალიში, რომელიც დაკარისთვის მზადების ბოლო ტესტი იქნება.

„დაკარი სრულიად განსხვავებული ტიპის რბოლაა იმისგან, რასაც ამჟამად ვაკეთებ. ეს ძალიან დიდხანს, ორ კვირაზე მეტხანს გაგრძელდება, ამიტომ გამძლეობა არა მხოლოდ პილოტს მოეთხოვება, არამედ მანქანასაც. ეს რბოლისადმი სრულიად განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს და მე მას იანვარში აღმოვაჩენ“, – ამბობს 41 წლის ლოები, ვინც „სიტროენის“ საქარხნო გუნდთან ერთად ამჟამად ტურინგის კლასის მსოფლიო ჩემპიონატში ასპარეზობს და მესამე ადგილზე იმყოფება.

ლოებმა „პეჟოს“ მიერ დაკარისთვის მომზადებული სარბოლო ავტომობილი მაროკოში უკვე გამოსცადა. მაროკოს რალიზე ის შარშანდელი სპეციფიკაციის ავტომობილით იასპარეზებს, საინსის განკარგულებაში კი უახლესი 2008 DKR16 იქნება.

„ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ დაკარის ავტომობილი სრულიად განსხვავებული ხასიათით გამოირჩევა. რალის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩემს ხელთ იყო ავტომობილი, რომელიც მოსახვევში კარგად მემორჩილებოდა. ეს კი სულ სხვაა – მხოლოდ წინ მოძრაობის საშუალებას გაძლევს. ამიტომ დრო მჭირდება იმისათვის, რომ მას გავუგო და თავდაჯერებული გავხდე“, – დასძენს ლოები.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

შენგელიას ორმაგი დუბლი

ევროპის ჩემპიონატის დასრულების კვალად კლუბში დაბრუნებულმა თორნიკე შენგელიამ პირველივე საკონტროლო მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა და „ლაბორალ კუჩას“ რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ბასკური კლუბი შინაურ არენაზე იტალიურ „დოლომიტი ენერგია ტრენტოს“ დაუხვდა და 76:86 დამარცხდა, ქართველი კალათბურთელი კი სასტარტო ხუთეულში იყო და 29 წუთში (მას მასპინძელთაგან ყველაზე მეტი დრო დაეთმო) 10 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი, 3 ჩაჭრა და 2 დაფარება მოაგროვა.

შენგელიამ 10-დან 4 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, ბურთი 3-ჯერ დაკარგა, ერთხელ დაუფარეს, 3 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 5-ჯერ დაჯარიმდნენ.

„ლაბორალ კუჩას“ რიგებში 18 ქულით ყველაზე შედეგიანი 20 წლის სენეგალელი ცენტრი ილიმანე დიოპი იყო, ხოლო უნგრელმა ადამ ჰანგამ 15 ქულა მიითვალა.

ისიც ვთქვათ, რომ გასული მატჩი სირიელი ლტოლვილი ბავშვების დახმარებისკენ იყო მიმართული და კალათბურთელებს ზურგზე მათი სახელები ეწერათ.

ახლა შენგელიას კლუბი გეზს მოსკოვისკენ აიღებს და 3-4 ოქტომბერს ალექსანდრ გომელსკის სახელობის ტრადიციულ მემორიალურ ტურნირში (საპრიზო ფონდი 50 ათასი ევრო) ჩაებმება.

შაბათს „ლაბორალ კუჩა“ ნახევარფინალში ცსკა-ს ეთამაშება, კვირას კი, შედეგიდან გამომდინარე, ყაზანის „უნიქსს“ ანაც ათენის „პანათინაიკოსს“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

საქართველო ოფლოუდებში მესამეა

ინგლისში მიმდინარე რაგბის მსოფლიო თასზე ორი ტური მიილია, სტატისტიკოსები კი სხვადასხვა კატეგორიებში შედეგებს ითვლიან.

ოფლოუდების (ბოჭვიდან პასი) რაოდენობით „ბორჯღალოსნები“ საწყისი ორი ტურის შემდეგ მესამე ადგილზე არიან. ქართველებმა ოფლოუდის გახერხება 23-ჯერ მოახერხეს და სამხრეთ აფრიკასა და სამოას უსწრებენ, რომელთა შედეგი 20-ია.

საუკეთესო მაჩვენებელი ამ მხრივ ჩვენს ხვალინდელ მეტოქეს ახალ ზელანდიას აქვს – 27, ხოლო მეორეზე ასევე ჩვენი ყოფილი მოწინააღმდეგე არგენტინაა 25 ოფლოუდით.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ვაშა შენებას!

ნადალის საჩოგბურთო აკადემია

დიდი სლემის 14-გზის ჩემპიონი, ესპანელი რაფაელ ნადალი მშობლიურ მალიორკაზე საჩოგბურთო აკადემიას აშენებს, სადაც 26 საჩოგბურთო კორტი და სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი საერთო საცხოვრებელი იქნება. აკადემია 140 ბავშვზეა გათვლილი.

„ჩემთვის დიდი მოტივაციაა ახალგაზრდა ჩოგბურთელების დახმარება. მინდა მათ უკეთესი ჩოგბურთის თამაშში დავეხმარო. როცა ბავშვები აქ ივარჯიშებენ, მათი დღე უფრო მარტივი იქნება, ვიდრე ჩემი იყო. როცა 12, 13, 14 წლის გახლდით ჩემი დღის განრიგი გიჟური იყო. 9-დან 12 საათამდე სკოლაში ვიყავი, 12-დან 14-საათამდე ჩოგბურთის ვარჯიში, 15:00- 17:00 სკოლა, 17:30 საათიდან ფეხბურთის თამაში, 19:00-21:00 ისევ ჩოგბურთი.

რაფაელ ნადალს მალიორკაზე საჩოგბურთო აკადემიის აშენება 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი უჯდება, ხოლო აღნიშნული კომპლექსის მშენებლობა 2016 წელს დამთავრდება.

ბადრი იაშვილი

◎ ინტერნეტიდან

ანა რობერტს უყურებს, რობერტი კი წინ იხედება...

გასულ კვირას ჭეშმარიტი სასწაულის ჩამდენი პოლონელი სუპერმეგოლის რობერტ ლევანდოვსკის მეუღლე, მსახიობი ანა ლევანდოვსკა გერმანელ ბულვარულ მოკალმეებთან საუბარში ამბობს, რომ მის ქმარს წარსულ წარმატებებზე საუბარი არ სურს და მხოლოდ წინ – მომავალში იხედება.

„მთელი კვირაა ყველა რობერტის მიერ გატანილ ხუთ გოლზე საუბრობს და მედია აჭრელებულია ამ ფაქტით. მე კი ჩემმა ქმარმა მითხრა, რომ ძალიან არ მოსწონს ეს ზედმეტი აჟიოტაჟი, რადგან მისთვის გუნდთან ერთად მოპოვებული ჯილდოები უფრო მეტს ნიშნავს და მთავარი ტიტულებია“ – ამბობს ანა ლევანდოვსკა.

რობერტი და ანა აგერ უკვე შვიდი წელია ცოლ-ქმრად არიან გამოცხადებულნი და ვერ ვიტყვით, რომ მათი ეს თანაცხოვრება ყოველთვის მტრედის ღუღუნის ხმით იყო გარემოცული. შარშანწინ ეს წყვილი რობერტის ღალატის გამო დაშორებამდეც კი იყო მისული, თუმცა, კრიზისი გადაილახა და ახლა ერთად ისე კოხტად არიან, როგორც ყველი და პური.

როსტომ რაჭველიშვილი

ხსოვნა

მადლი ღვაწლისა

ვალმოხდილი მამულიშვილი მირიან ჩიქობავა

არიან ადამიანები, რომლებიც საზოგადოების განვითარების, ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში განსაკუთრებულ პრიორიტეტულ როლს ასრულებენ და რომელთა ღვაწლი, სამწუხაროდ, სათანადოდ შეუფასებელია. ასეთ პიროვნებათა ბრწყინვალე კოჰორტას ეკუთვნოდა სიბრძნით დატვირთული და ვალმოხდილი მამულიშვილი, წესიერებითა და ღირსებით აღსავსე პიროვნება, დიდი პროფესიონალი, ერუდირებული და რაფინირებული ინტელიგენტი, სპეტაკი პატრიოტი ქართველი **მირიან კონსტანტინეს ძე ჩიქობავა**.



მირიანს მთელი თავისი შინაარსიანი ცხოვრების მანძილზე არასოდეს დაუკარგას ადამიანური ღირსება, მავანთა მსგავსად ფეხთ არავის გაჰგებია და უდრეკი შეუვალობით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, კეთილსინდისიერად და პატიოსნად ასრულებდა მისდამი მინდობილ მოვალეობას. „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ მისთვის ყოველთვის მოქმედების საფუძველი იყო.

მირიან ჩიქობავა, უპირველეს ყოვლისა, ოჯახის, ადამიანის, მეგობრის და, რაც მთავარია, მამულის საოცარი სიყვარულით დაჯილდოებული კაცი იყო. მისი ცხოვრების ლაიტმოტივს წარმოადგენდა „სამშობლო, უპირველეს ყოვლისა“... მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეს მოახმარა. იგი მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი იქნებოდა, ამისი სურვილი რომ ჰქონოდა. მისი გენი, ნიჭი და ტალანტი ამის გარანტიას იძლეოდა. მან ეს უნარი გულწრფელად და უანგაროდ აჩუქა სათაყვანებელ სამშობლოს და მშობელ ხალხს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი მირიანი იყო ეკონომიკური, საფინანსო და საკრედიტო სისტემის გამოჩენილი და ნაცადი ორგანიზატორი. მან რთული და სახელოვანი გზა განვლო, უბრალო ეკონომისტიდან სსრკ საქართველოს მშენებლობის ბანკის მმართველამდის. მისი ბიოგრაფიული მონაცემები, ისტორიკოსის ენაზე რომ ვთქვათ, მთელი ქვეყნის ისტორიას ჰგავს. ამიტომაც სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ იგი ამიერიდან ისტორიის კუთვნილებაა და მას დავიწყება არასოდეს არ უწერია.

მირიან ჩიქობავა იყო მაღალი რანგის ხელმძღვანელი, იმიტომ რომ, მისი და კოლექტივის ინტერესები ყოველთვის ერთმანეთს ემთხვეოდა. მას თავისი სურვლები და ამბიციები არასდროს დაუყენებია სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა. იგი იყო დიდი ფინანსისტი და ბანკირი, მკვეთრად განსხვავდებოდა სხვა ფინანსისტებისა და ბანკირებისაგან იმით, რომ მის ძარღვებში ყოველთვის სამშობლოს სიყვარულით აღსავსე ფინანსისტის სისხლი ჩქეფდა. ასევე, იგი იყო პირველი და სრულფასოვანი სპეციალისტი საინვესტიციო და კაპიტალური მშენებლობის საქმისა საქართველოში. ამიტომაც შემთხვევით როდი დააწინაურეს საქართველოს მშენბანკის მმართველად. მირიან ჩიქობავა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე უმწიკვლოდ და ერთგულად ემსახურა ამ ეროვნულ და პატრიოტულ საქმეს, თავისი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ. ბატონმა მირიან ჩიქობავამ მთელი თავისი დაუღალავი და შეუპოვარი ენერგია მოახმარა კაპიტალურ მშენებლობათა და სამშენებლო წარმოების ეფექტიანობასა და საბანკო კონტროლის სრულყოფასა და განხორციელებას. მან თითქმის საკუთარ მხრებზე გადაიტანა საქართველოში სახელმწიფო მნიშვნელობის უნიკალურ მშენებლობათა განხორციელების მთელი სიმძიმე. მზად იყო სამსხვერპლოზე მიეტანა საკუთარი თავი და სიცოცხლე, ოღონდ საქართველოში გაშენებულიყო მსოფლიოში უნიკალური ენგურის ჰიდროელექტროსადგური, მეტრო, სპორტის სასახლე, საკონცერტო დარბაზი და ა. შ. ამგვარი მშენებლობის განხორციელება მაშინ, კატეგორიულად აკრძალული იყო. ამ საქმეში მთელი პასუხისმგებლობა სამშენებლო ბანკს ეკისრებოდა...

ბატონი მირიანი ყოველთვის მოქმედებდა მეფე ვახტანგ მეექვსის კანონის შესაბამისად, შეიძლება კაცს ეპატიოს შეცდომა, თუ იგი ნაკარნახევია და გამოწვეულია ეროვნული და სახელმწიფო ინტერესებით.

მშენებლობაში გაწეული ღვაწლისთვის მირიან კონსტანტინეს ძე ჩიქობავა ეკუთვნოდა იმ ადამიანთა წყებას, რომლის შესახებაც პოეტი იტყვის:

„შენ — სისხლო ჩემო —შენი ღვაწლია, რამაც აქამდეც კი მოაღწია: სვეტიცხოველი... ხანძთა ... ვარძია... და ისიც, რაც მტერს წარუტაცნია“.

ჩემი თაობა, პროფესორ-მასწავლებელთა სიყვარულით განებივრებული, სიბრძნის მაწოვებელი დედა უნივერსიტეტიდან, ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების საფუძველზე მოვიდა მშენებლობის ბანკის სისტემაში. მშენებლობის ბანკი კი ჩვენთვის სიბრძნის მაწოვებელი მამა გახდა. აქ მოხდა ჩვენი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ერთმანეთთან შედუღაბება, მეცნიერულ დონეზე აყვანა. ამაში დიდი დამსახურება და ლომის წილი მიუძღვის ბატონ მირიან ჩიქობავას.

მთელი თავისი ლამაზი და შეგნებული ცხოვრების მანძილზე მირიან ჩიქობავა გამოირჩეოდა თავისი პირადი მაგალითით. მომადლებულ ნიჭიერებასთან ერთად იგი იყო ძალიან შრომისმოყვარე, თავის საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული კაცი. მას გააჩნდა ხელმძღვანელის და ორგანიზატორის ყველა თვისება, ძალიან შორს იხედებოდა, იგი იყო ყოველმხრივ დაჯილდოებული მაღალი რანგის მმართველი, სამშობლოსა და ხალხის ერთგული შვილი და საიმედო ჯარისკაცი.

დიდბუნებოვანი და დიდი ინტერნაციონალისტი, დიდი სულისა და გონების მქონე, კარგი ორატორი, მგრძნობიარე გულის, ნათელი გონების, ცოცხალი სიტყვის პატრონი, ყოველთვის ლაპარაკობდა გარკვევით, ხატოვნად და დამაჯერებლად. იგი მის ირგვლივ ყოველთვის ნდობის ატმოსფეროს ჰქმნიდა. ცოტნე დადიანის სული ჰქონდა და ჩვენც ასე გვზრდიდა ახალგაზრდებს. იმდენად დიდი სულის პატრონი იყო, რომ ღალატიც კი შეეძლო ეპატიებინა ზოგიერთებისთვის...

მირიან ჩიქობავა იმდენად ძლიერი კაცი იყო, რომ მას შეეძლო სიკვდილსაც კი გამკლავებოდა. რამდენჯერმე მივიდა სიკვდილი მასთან, მაგრამ ისევ უკან, შერცხვენილი და თავდახრილი წავიდა... თუმცა, საბოლოოდ ისევ მასთან ბრძოლაში დამარცხდა. შეწყდა გულისცემა დიდი პატრიოტი ქართველის. ბედნიერია და უკდავია ის ერი, ვისაც ჰყავს ასეთი საუკეთესო შვილები.

მირიან ჩიქობავას შეეძლო თავის საფლავის ქვაზე ამაყად წაეწერა ეპიგრაფად შემდეგი სიტყვები:

„გარნა ვინ ვიყავ? რა ხმა მქონდა, რა საკუთრება? ვიყავ მმართველი, ჩემი ქვეყნის ჭირისუფალი, სხვა არაფერი“.

სამარადისო ხსოვნა და დიდება მის ნათელ სახელსა და სულს! ამინ!

გულთაზ ლაბარტყავა,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი.

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ასოციაციის თანამშრომელი, ექიმ-ლაბორანტი

ნანა კურდღელაშვილი

რის გამოც სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

სანთელი

მეუღლე დარეჯან ელიაძე, შვილები მარინა, მიხეილი, შვილიშვილები მარიამ, გიორგი დუნდუები, ლიზი, გიგი კუპრავები, დები ემა, გულისვარდი, ძმა მევლუდი, რძლები ლანა ებრალიძე, რუსუდან ლაბარტყავა, სიძეები კახა კუპრავა, ანზორ შენგელია, რაულ ხუჭუა, ძმისწულები ეთერი, ლევანი, დისწულები თამარ, თენგო შენგელიები, დათო, გოჩა ხუჭუები, დეიდა დოდო ჯღარკავა, ბიცოლა შუქურა დუნდუა, ბიძა შოთა დუნდუა, ბიძაშვილები დალი, მანანა, გია ჯღარკავები, მამიდაშვილები იზო ლორია, გენრიეტა გუგულავა, დეიდაშვილები რუსუდან, გიორგი რუხაძეები, ნინო, ნატო, ედიშერ დუნდუები, ცოლისდა მზისანა ელიაძე, მძახლები ლუიზა, გრიგოლ კუპრავები, ქვისლი ჟორა ქოიავა ოჯახებით იუწყებიან

გიორგი მიხეილის ძე დუნდუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2, 3 X, 18 სთ. აბაშა, თავისუფლების ქუჩა. გამოსვენება 4 X, აბაშის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრიდან. დაკრძალვა სოფელ მარანში (დუნდუების სასაფლაოზე).

მამუკა კვიტაშვილი ოჯახით უდიდეს სინანულსა და მწუხარებას გამოთქვამს რაიონის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის, მისთვის საიმედო საყრდენის, უფროსი მეგობრის

გიორგი დუნდუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ღირსეულ ცოლ-შვილსა და ახლობლებს.

თენგიზ კალანდაძე ოჯახით გულისტკივილით იუწყება უახლოესი მეგობრის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, სტუმართმოყვარე, გულმართალი პიროვნების, სანიმუშო ოჯახის წინამძღოლის, ყველა ღირსებისა და ქართული ტრადიციების მატარებელი პიროვნების

გიორგი დუნდუას

გარდაცვალებას და უდიდესი მწუხარებით თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

გურამ გუნავა ოჯახით გულისტკივილით იუწყება უსპეტაკესი პიროვნების, საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობისა და პროფესიონალი მუშაკის, უახლოესი მეგობრის, აბაშის რაიონის ღირსეული წარმომადგენლის, უკეთილშობილესი პიროვნების

გიორგი დუნდუას

მოულოდნელ გარდაცვალებას. თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახსა და მრავალრიცხოვან სანათესაოსა და სამეგობროს.

რომან კიზირია ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება რჩეულთა შორის რჩეული კაცის

გიორგი დუნდუას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს და სანათესაოს.

შალვა მგალობლიშვილი ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება მეგობრის, ქართული ტრადიციების მატარებელი კაცური კაცის

გიორგი დუნდუას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მისი ღირსეული ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

პეტრე, დავით, მაკრინე, ჟერვეზი დუნდუები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან დუნდუების საგვარეულო კავშირის თავმჯდომარის მოადგილის, ღირსეული მამულიშვილის

გიორგი დუნდუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნანა (ნანული) გუნია ოჯახით ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს უახლოეს მეგობარს დარეჯან ელიაძეს მეუღლის

გიორგი დუნდუას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის სახელით გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა სულით და ხორცით ლამაზი კაცი, მუდამ და ყველასთან სიკეთის მთესველი, სოფლის მეურნეობის უებრო პროფესიონალი, ადამიანური ღირსებებით შემკული მამულიშვილი, აბაშის რაიონის ინტელიგენციის მშვენება, დიდებული ოჯახის შვილი და თავადაც შესანიშნავი მეუღლისა და შვილების პატრონი, ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობარი, მუდამ კეთილისმყოფელი, ძველთაძველი მკითხველი და ავტორი

გიორგი დუნდუა

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის დიდ საახლობლოსა და სანათესაოს, აბაშის მთელ საზოგადოებრიობას.

რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, რეზო ჭოჭუა, ნინო, ნანა ქორჩილავები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აბაშის ინტელიგენციის სახე და კოლორიტი, გამორჩეული მოღვაწე და მამულიშვილი

გიორგი დუნდუა

და თანაუგრძნობენ მეუღლეს დარეჯან ელიაძეს, შვილებსა და შვილიშვილებს დაუვიწყარი ქმრის, მამისა და ბაბუის მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

გიორგი დუნდუას ხსოვნას

მართლაც თავზარდამცემი იყო ჩვენთვის შენი მოულოდნელი წასვლა ამქვეყნიდან, მაგრამ თუ ამ განვლილ წლებს ერთგულება, სიყვარული, გვერდში დგომა და უღალატობის რწმენა ახლავს, მაშინ ამგვარი განშორება ტრაგედიის ტოლფასი ხდება. დიახ, მართლაც ტრაგედიაა ჩვენთვის შენი გარდაცვალება. შენი საქმისადმი ერთგულებით, ინიციატივითა და პროფესიონალიზმით, მშობლიურ კუთხეზე — მარანზე ფიქრით და მარნელებზე ზრუნვით, სწორედაც რომ გიორგი თორელს გამსგავსებდნენ და მადლიერი თანასოფლელები ხშირად ასეც მოგმართავდნენ.

უღალატო მეგობარი, პროფესიონალი, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი და მისი გამტარებელი, ულამაზესი ოჯახის ბურჯი და თავკაცი. გული დაგვწყვიტე ყველას, ვინც კი გიცნობდა, ვისაც ბედნიერება ჰქონდა, თუნდაც სულ მცირე დროით მაინც ეღვაწა შენს გვერდით, მოესმინა შენი დარიგებები თუ რჩევები.

გემშვიდობებით უდიდესი გულისტკივილით. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროთ, სადაც მართალთა სულები განისვენებენ.

შენგან მადლიერი მარნელები

ეს სიკვდილი პირადად ჩვენთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. გიორგი დუნდუა, ეს უცილოდ ღვთისგან მოვლენილი ადამიანი დედამიწაზე, ჭეშმარიტად უტყუარი ქართველობის, კაცურკაცობის, ადამიანობის, სულგრძელობისა და გულკეთილობის უებრო ნიმუში იყო. დიდია ჩვენი მწუხარება და თავს მხოლოდ იმითლა ვიმშვიდებთ, რომ გიორგი თავის დიდებულ ოჯახში განაგრძობს ჩვეულ სიცოცხლეს. ჩვენგან ყვავილთან ერთად მიტანილი თაფლის სანთელი მუდამ ენთება გიორგობა დღეს იმის ძვირფას საფლავზე. გიორგობა დღეს იმიტომ რომ, ის სწორედ ამ დღეს მოევლინა ამ ქვეყანას, რათა მარადიულად დარჩენილიყო ჩვენთან ერთად და ჩვენს ხსოვნაში

რუსუდან პიტავა, მარინა კანდელაკი, შორენა ქორჩილავა, ანა, ნონა, თემურ გრელიძეები

სანთელი

ვახტანგ ჟორჟოლიანი

საქართველოს მხატვართა მრავალრიცხოვან საზოგადოებას გამოაკლდა უაღრესად კეთილშობილი, გულისხმიერი, შრომისმოყვარე და მოსიყვარულე ადამიანი ბატონი **ვახტანგ ჟორჟოლიანი**.

1967 წლიდან, ქ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის დამთავრების დღიდან, ბატონი ვახტანგი ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას. აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთ გამართულ სამხატვრო გამოფენებში. თავისი ქვეყნისა და მისი შესანიშნავი კუთხეების უსაზღვრო სიყვარულმა შეაქმნევინა მხატვარს მრავალი მხატვრული ნაწარმოები. მათ შორის აღსანიშნავია: სერიები – „ხევსურეთი“, „სვანეთი“, „მთა-თუშეთი“, „ინდოეთი“. განსაკუთრებულად ყურადსაღებია: „ფ. ლისტის“, „ტ. ტაბიძის“, „ი. სტრავინსკის“ პორტრეტები, „მეუღლის პორტრეტი“ და მრ. სხვა.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ბატონი ვახტანგ ჟორჟოლიანი, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. მის მიერ აღზრდილია არაერთი თაობა, რომელთაც ბატონმა ვახტანგმა ჩაუნერგა ხელოვნების სიყვარული და შეაყვარა არჩეული სპეციალობა.

კეთილშობილი ადამიანის, შესანიშნავი მხატვრის ბატონი ვახტანგ ჟორჟოლიანის სპეტაკი სახელი დიდხანს ემახსოვრება მის კოლეგებსა და მეგობრებს.

საქართველოს მხატვართა კავშირი

◎ ჩვენი კარაბადინი

ბავშვები არ გვაძლევენ გაცივების საშუალებას

ადამიანები, რომლებსაც ჰყავთ შვილები, 52 პროცენტით უფრო იშვიათად ცივდებიან უშვილოებთან შედარებით.

რაც მეტი ბავშვია ოჯახში, მით უფრო ძლიერია ეფექტი, ამტკიცებენ სპეციალისტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ერთი ან ორი შვილი 48 პროცენტით ამცირებს დაავადებას ვირუსთან კონტაქტის დროს. სამი და მეტი შვილი ოჯახში გვეხმარება შევამციროთ ეს რისკი უკვე 61 პროცენტამდე. მეცნიერთა სიტყვებით, საქმე იმუნიტეტში როდია. მშობლები და უშვილო ადამიანები, რომლებმაც გამოკვლევაში მიიღეს მონაწილეობა, ძნელად რომ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ფიზიოლოგიური თვალსაზრისით. მაშასადამე, მიზეზი – ფსიქოლოგიური ასპექტია. ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს უფრო ადრინდელი გამოკვლევებიც, რომელთა დროსაც გამოირკვა, რომ ბავშვებთან თამაში ამცირებს მშობელთა სტრესის მაჩვენებლებს და იცავს მათ დეპრესიებისგან.

საჭმელი და მეხსიერება

ფასტფუდი ამცირებს სწავლების უნარს, დაადასტურეს მეცნიერებმა ავსტრალიიდან. მათს ექსპერიმენტში სამოცი და მეტი ასაკის 250 მოხალისე ღებულობდა მონაწილეობას. მათ შეუმოწმეს ჰიპოკამპის – თავის ტვინის იმ ნაწილის ზონა, რომელიც მეხსიერებასა და შემეცნებითს ფუნქციებზეა პასუხისმგებელი. გამოირკვა, რომ მათ, ვისაც ფასტფუდი ურჩევნია, ეს ზონა აქვთ უფრო ნაკლები იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებსაც ჯანსაღი კვება ურჩევნიათ. მეცნიერთა აზრით, მავნე საკვებს შეუძლია შეამციროს ჰიპოკამპი 60 პროცენტით.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

◎ ანეკდოტები

– **თუკი** ჩემს ჩათქმულ რიცხვს გამოიცნობ, ეგრევე გამოგყვები ცოლად.
– ათას ხუთასი.
– როგორ გამოიცანი, საოცრებაა???
– რა გამოცნობა უნდა, ნახევარი საათია მაგ მელიის ქურქს უცქერი.

* * *

მეხუთეკლასელ ვალერიკოს სწავლის შეწყვეტა მოუხდა, რადგან საბავშვო ბაღში შესვლის რიგი მოუვიდა.

* * *

– **გუშინ** ქმარს წავეჩხუბე და ვუთხარი, დედაჩემთან მივდივარ-მეთქი.
– იმან რა გითხრა?
– ძალიან კარგი, ოღონდ არ გადაიფიქროო.

* * *

ძმარს უნდა ცოლთან გაყრა, ძალიან ულამაზო ვინმეაო.

ცოლი ეუბნება:

– წამოდი, ქუჩაში გავიაროთ, შენ უკან ამედევნე, თუ არავინ არ შემომხედა, კი ბატონო, გამეყარე, ხოლო თუ შემომხედეს, ერთად დავრჩებით!

ქმარი პირდაღებული უცქერდა, ვინც კი აიარა და ჩაიარა, ყველა იმის ცოლს უყურებდა! ის კი არა, ზოგი მანქანასაც აჩერებდა!

სხვა რა გზა იყო, არ განქორწინებულან. მალე შვილები შეეძინათ.

60 წლისანი რომ გახდნენ, ცოლი გამოუტყდა:

– ძვირფასო, სუყველას, ამვლელსაც და ჩამვლელსაც, ენას ვუყოფდი.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე